34(05)
ნ 13.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სამართალი

რედაქციის და ადმინისტრაციის მისამართი:
ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32
ტელ. № 10—51

ხელისმოწერის ფასი:
წლიურად — 10 მან.
6 თვით — 5 მ. 50 კ.
3 თვით — 3 მ.
1 ნომერი 50 კ.

№ 15 ტფილისი 1 აგვისტო 1928 წ. № 15

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მეზობლური ურთიერთობის მოწესრიგების საფუძვლები საბჭოთა სამართლით *)

სამართლით მოსაწესრიგებელია არა მარტო ის ურთიერთობა მეზობელთა შორის, რომელიც შეიძლება წარმოსდგეს იმ ნიადაგზე, რომ მიწის მოსარგებლე იყენებს თავის უფლებას მიწაზე წინააღმდეგ მეზობლის არსებით ინტერესებისა. მეზობელთა შორის შეიძლება შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომ ძნელი ან შეუძლებელი გახდეს მეურნეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, თუ კი არ იქნა გამოყენებული მეზობლის მიწა-წყალი. თუ ერთ მეურნეობას აკლია ისეთი რამ, რაც აქვს მეორე მამულს და ურომლისოდაც უკანასკნელზე მეურნეობის წარმოება შეფერხდება, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელიც გახდება, ასეთი მამულის სამეურნეო ინტერესი მოითხოვს, რომ მეზობლის მამული იქნეს გამოყენებული. მეურნეობას შეიძლება არ ჰქონდეს წყალი, რომელიც საჭიროა არა მარტო მიწის მოსარწყავად, არამედ საქონლის დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში იბადება მოთხოვნილება მეზობლის წყლით სარგებლობისა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე (წყლით უშუალო სარგებლობა ან წყლის გამოყვანა მეზობლის მამულიდან.) მეურნეობას შეიძლება სხვა მოთხოვნილებაც ჰქონდეს, რომლის დაკმაყოფილება შესაძლებელია მეზობლის მამულის მეშვეობით. ვიდრე შევეხებოდეთ მეზობლური ურთიერთობის ამ მხარის გაშუქებას საბჭოთა სამართლით, საჭიროა მოვიგონოთ, როგორ წესრიგდება აღნიშნულ ნიადაგზე წარმოშობილი მეზობლური ურთიერთობა ევროპიულ სახელმწიფოებში, სადაც სამართლის სისტემა კერძო საკუთრების ბატონობაზეა აგებული.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მეზობლური ურთიერთობა მოწესრიგდება სანივთო სამართლის ნორმებით, რომელიც აწესებს საკუთრების უფლების შემზღუდავ ინსტიტუტს-სერვიტუტებს. საკმარისია მივმართოთ დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალს და მოვიყვანოთ იქიდან შესაფერი მუხლის დედა-აზრი, რომ ნათელვყოთ ხსენებული ინსტიტუტის ბუნება და შინაარსი.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი სერვიტუტს განსაზღვრავს როგორც სამსახურს, რომელიც აწევს ერთს მამულს მეორე მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ (637 მუხ.). ეს განსაზღვრა მიუთითებს იმაზე, რომ სერვიტუტი არის მაშინ, როცა, ერთის მამული მეორეს მამულს სამსახურს უწევს; ის მამული, რომელიც სხვის მამულს სამსახურს უწევს, მოსამსახურე მამულად (fonds servant) ითვლება, ის კი, რომელსაც მეორეს ემსახურება, გაბატონებულ მამულად ჩაითვლება. ერთის მამულისათვის მეორე მამულის მარივ სამსახურის გაწევა მიუთითებს იმაზე, რომ პირველს აკლია ზოგიერთი თვისებები ან ძალები და ამ ნაკლის შევსება შეიძლება, თუ ეს თვისებები ან ძალები გამოყენებული იქნებიან პირველის სასარგებლოდ და სახეიროდ.

რა შინაარსისაც უნდა იყოს სერვიტუტი, უკანასკნელი ზღუდავს იმ მამულის მესაკუთრეს, რომელსაც აწევს განსაზღვრული სამსახური მეორე მამულის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. პობედონოსცევი, გამომდინარეობს არა პირად ურთიერთობიდან და ვალდებულებიდან, არამედ ქონების რეალურ თვისებებიდან და ტერიტორიალურ დამოკიდებულებიდან, რომელშიაც არის ორი მამული.*) თუ მიუდგებით ამ შეზღუდვას მის შინაარსის მხრივ, დავინახავთ, რომ ის ეხება საკუთრების უფლების ორ მხარეს: დადებითს და უარყოფითს. სერვიტუტი აკისრებს შებორკილი მამულის მესაკუთრეს მოვალეობას იგუოს მეორე მამულის მესაკუთრის მხრივ ის, რის თავიდან აცილებას ის შესძლებდა, სერვიტუტი რომ არ ყოფილიყო დაწესებული, და არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის შესრულებას ის შესძლებდა, მისი მამული სერვიტუტით რომ არ ყოფილიყო შებორკილი. სერვიტუტით შებორკილი მამულის პატრონი მოვალეა დაუშვას გაბატონებული მამულის პატრონი თავის მამულში იმისათვის, რომ უკანასკნელით ისარგებლოს განსაზღვრული მიმართულებით და ფარგლებში. მეორეს მხრით სასერვიტუტო უფლების სუბიექტს აქვს უფლება დაუშალოს მეზობელი მამულის მეპატრონეს მის მხრივ განსაზღვრული სახით სარგებლობა საკუთარი მამულით, თუ ასეთი სარგებლობა აკლებს პირ-

*) გაგრძელება. იხ. „საბჭოთა სამართლის" № 13.

*) К. Победоносцев. Курс гражданского права, вотчинные права, 458 გვ.

ველს შესაძლებლობას გამოიყენოს მეზობლის მამულის თვისებები ან ძალები ისე, როგორც ეს შეეფერება დაწესებულ უფლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყნების სამართალში გატარებულია სერვიტუტების დაყოფა, მათი დაწესების მიზნების მიხედვით, ორ სახეზე: საადგილმამულო და პირად სერვიტუტებზე. პირველნი დაწესდებიდან სხვის მამულის სასარგებლოდ, მეორენი კი მხოლოდ პირის სასარგებლოდ. მაგრამ თუ მიუდგებით ორივე სახის სერვიტუტებს მათი დანიშნულების თვალსაზრისით, უნდა ვაღიაროთ, რომ ორთავენი ერთ და იმავე მიზანს ემსახურებიან. ერთად-ერთი პირობა, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმაში მდგომარეობს, რომ საადგილმამულო სერვიტუტების მოქმედება მიმდინარეობს იქამდე, სანამ გაბატონებულ მამულს სჭირდება მოსამსახურე მამულის სამსახური ან სანამ მეორე მამული შეიცავს სამსახურისათვის საჭირო თვისებებს ან ძალებს, პირადი სერვიტუტების მოქმედება კი განისაზღვრება იმ პირის ინტერესებით, ვის სასარგებლოდ და სახეიროდ ის არის დაწესებული. უკანასკნელ შემთხვევაში სერვიტუტი ისპობა ამ პირის გარდაცვალებისა ან და ამ მამულის სხვაზე გადასვლის გამო.

აღნიშნულ ორ სახეზე სერვიტუტების დაყოფას უარყოფს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც სერვიტუტები არ შეიძლება იქნენ დაწესებულნი არც პირის მიმართ და არც სასარგებლოდ, ისინი შეიძლება დაწესებულ იქნენ მხოლოდ მამულის მიმართ და მამულისათვის, მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ (676 მუხ.). საფრანგეთის სამოქ. სამართლის ეს დებულება ჰპოულობს თავის გამარტლებას იმაში, რომ სხვის მამულზე ყველა რეალურ უფლებას, რომელიც რომისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყნების სამართლით ჩარიცხულია სერვიტუტის რიგში, გამოყოფს ცალკე ინსტიტუტებათ. ასე რომ სერვიტუტების აღნიშნული დაყოფის გამართლება შეიძლება იმ ქვეყნების სამ. სამართლის თვალსაზრისით, სადაც სერვიტუტის ცნების ქვეშ არის მოქცეული ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სხვის ნივთით სრული პირადი სარგებლობა მისი ნაყოფის აღებით (usufructus) და სარგებლობის პირადი უფლება ნაყოფის აუღებლად (usus).

ჩვენ სრულებით უყურადღებოთ ვსტოვებთ პირად სერვიტუტებს, რადგან ჩვენ განხილვისათვის ისინი ინტერესს არ წარმოადგენენ. ჩვენი ყურადღების ცენტრად უნდა მივიჩნიოთ საადგილმამულო სერვიტუტები, რომლის მაგგვარ მდგომარეობას ითვალისწინებს საბჭოთა მიწის სამართალი. ასე რომ ქვევით ჩვენ გვექნება ლაპარაკი საადგილმამულო სერვიტუტებზე.

2

საადგილმამულო სერვიტუტების ზემოდმოყვანილი დახასიათება შეიცავს შემდეგ დებულებას: სერვიტუტი დაწესდება სხვისი მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ და სერვიტუტების დაწესების საფუძველი გამოხატავს იმ მამულის სამეურნეო საჭიროებას, რომელიც მოკლებულია ზოგიერთ საშუალებებს, ურომლისოდ ფერხდება მეურნეობის წარმოება და ზოგ შემთხვევაში ეს შეუძლებელიც ხდება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ერთის მამული უნდა უწევდეს მეორეს მამულს ისეთს სამსახურს, რომელიც აადვილებს მიწის ექსპლოატაციას, კულტურის აღორძინებას, რომელიც სწევს მიწის ღირებულებას, ადიდებს მამულის გამოსადეგობას (l'utilitè)*). საადგილმამულო სერვიტუტების შორის აღსანიშნავია შემდეგი სერვიტუტები: სარგებლობა სხვა ადგილით როგორც გზით, სხვის მამულში წყლით სარგებლობა, სხვის მამულიდან წყლის გამოყვანა, საქონლისათვის წყლის მიჩენა და სხვ. ყველა ასეთი სერვიტუტები მოითხოვენ, რომ მოსამსახურე მამულის პატრონმა იგუოს გაბატონებული მამულის პატრონის ისეთი მოქმედებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სასერვიტუტო უფლებიდან, თუ საადგილმამულო სერვიტუტი შეიცავს სარგებლობას მეზობლის მამულით როგორც გასავალი გზით, უკანასკნელი მოვალეა მეზობლის მხრივ მისი მამულის სარგებლობა იგუოს. ასეთი მდგომარეობაა იმ შემთხვევაშიც, როცა სერვიტუტი ზღუდავს მესაკუთრის უფლების მეორე მხარეს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მესაკუთრე იმ მამულისა, რომელზეც დაწესებულია სერვიტუტი, მოვალეა არ შეასრულოს თავის მამულში ისეთი რამ, რაც გამორიცხავს სერვიტუტის მოქმედების შესაძლებლობას ან ხელს შეუშლის მის განხორციელებას. თუ სერვიტუტი გამოხატავს საქონლისათვის წყლით სარგებლობას, მოსამსახურე მამულის პატრონმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მოქმედებისაგან, რაც დაარღვევს სასერვიტუტო უფლებას. ასეთ დარღვევას ადგილი ექნება მაშინ, თუ მოსამსახურე მამულის მესაკუთრის მოქმედება აკლებს ან ამცირებს გაბატონებული მამულის პატრონს საშუალებას წყლით ისარგებლოს, მაგ. მეზობელს არ დაუშვებს წყალზე ან წყალს მისცემს ისეთ მიმართულებას, რომ ის მეზობლის მამულზე არ გადავა და სხვა. თუ სერვიტუტი გამოიხატება მეზობლის მამულით როგორც გზით სარგებლობაში, მას შეუძლია დაარღვიოს გაბატონებული მამულის სამეურნეო ინტერესი იმით, რომ ამ გზას გააფუჭებს ან გააუქმებს და გაუქმებული გზის ნაცვლად სხვას არ გაიყვანს. სერვიტუტის დარღვევა შესაძლებელია აგრეთვე მოსამსახურე მამულის მეპატრონის მხრივ საკუთარი მამულით ისეთ სარგებლობით, რომელიც ზღუდავს სერვიტუტის მოქმედებას ან ხელს უშლის სასერვიტუტო უფლების სუბიექტის სარგებლობას იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია მამულის საჭიროებით. მოსამსახურე მამულის პატრონს შეუძლია გააუქმოს ის გზა, რომლითაც სარგებლობს გაბატონებული მამულის პატრონი, თუ ამას მოითხოვს მისი მამულის სამეურნეო ინტერესი, მაგრამ გაუქმებული მამულის ნაცვლად მან მეზობელს სხვა გზა უნდა მიუჩინოს; ამავე დროს უნდა დაიცვას ის პირობა, რომ ახლო გზით სარგებლობა არ აუარესებდეს გაბატონებული მამულის მდგომარეობას. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ის მდგომარეობა, რაც განმტკიცებულია გაბატონებულ მამულზე, უნდა დარჩეს, სანამ ამის საჭიროება არსებობს.

ვისმეს მამულის სასარგებლოდ და სახეიროდ სხვისი მამულის გამოყენება განისაზღვრება არა სუბიექტიური

*) Ambroise Colin—H. Capitant. Cours elémentaire de droit civil Fransais, პირვ. ტომი, 837 გვ.

მომენტით, არამდ ობიექტიური პირობებით, რომლების მოსპობა შეუძლებელია მიწაზე კერძო საკუთრების ბატონობის. დროს გარეშე განვითარების ევოლიუციონური პროცესისა, რადგან საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში გაბატონებულია კერძო თაოსნობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ისმება საკითხი, რაში მდგომარეობს მიზეზი სერვიტუტების წარმოშობის აუცილებლობისა. ამ საკითხის განმარტებას ჩვენ ვპოულობთ თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. „საადგილმამულო სერვიტუტებს, სწერს გერმანელი მეცნიერი ი. კოლერი, მიზნათ აქვთ რაც შეიძლება შეასწოროს ის ზიანი, რაც თან სდევს მიწის დაქუცმაცებას ცალკე ნაკვეთებათ, რომლებიც არიან ცალკე პირების საკუთრებაში, და მისცეს ორ ნაკვეთს საშუალება გაუწიონ ერთმანეთს სამსახური იქ, სადაც ეს აუცილებელია კაცობრიობისათვის დიადი მიზნის მისაღწევად*). სერვიტუტების წარმოშობის მიზეზი ამგვარადვეა განმარტებული სხვების ნაშრომებშიც. ძველი რუსეთის სამოქალაქო დებულების პროექტის კომენტატორები ამ საკითხზე გამოსთქვამენ შემდეგ აზრს: „გლეხების განთავისუფლებამ ბატონყმურ დამოკიდებულებიდან არა მარტო შექნა გლეხებისაგან წვრილი პატრონების—მესაკუთრეების მასსა, არამედ იყო აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი უფრო წვრილ ერთეულებზე დიდ მფლობელთა მამულების დაშლისა მრავალ სხვა მიზეზთა შორის. ამრიგად მოგვევლინა მრავალი რიცხვი წვრილ მესაკუთრეებისა არა გლეხებიდანაც, რომლებისთვისაც ზოგჯერ გაძლიერებულია კარჩაკეტილად წარმოება მეურნეობისა სერვიტუტების დაუწესებლად.**) ბოყვანილი მოსაზრებანი სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ. მართლაც იქ, სადაც მამულის დაქუცმაცებას არ აქვს ადგილი, სერვიტუტებს არც კი ვპოულობთ. სერვიტუტების დაწესების საჭიროებას იწვევს მამულის დაქუცმაცება, რასაც თან სდევს ის, რომ წვრილ ნაკვეთებს აკლდებათ ის თვისებები და ბუნებრივი ძალები, რაც მამულს ჰქონდა დაქუცმაცებამდე. მაგრამ მამულის დაქუცმაცება იწვევს იმის საჭიროებას, რომ პატარა მამულებმა ერთმანეთს დახმარება გაუწიონ, არა მარტო იქ, სადაც მიწაზე კერძო საკუთრებაა, არამედ იქაც, სადაც მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოთ არის გაუქმებული. ასეთი მდგომარეობა არსებობს საბჭოთა სახელმწიფოებშიც და ეს იმით აიხსნება, რომ აქ გაბატონებულია კომლობრივი სარგებლობა მიწისა. მაგრამ აქ და იქ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ერთი და იგივე მდგომარეობა მაინც არ არის. მიწის სარგებლობა საბჭოთა სახელმწიფოში სულ სხვა კანონებს ემორჩილება. აქედან ცხადია, რომ მეზობლური ურთიერთობა ვერ მოწესრიგდება ისე, როგორც ამას აქვს ადგილი ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ვიდრე ამ საკითხის გაშუქებას შეუდგებოდეთ, უნდა განვიხილოთ, რამდენად შესაძლებელია სერვიტუტების არსებობა საბჭოთა სინამდვილეში.

კ. მიქელაძე.

(გაგრძელება იქნება)

*) И. Коллер. Современное гражданское право Германии, გვ. 144.

**) Проект гражданского уложения. Вотчинное право с об'яснениями, 1902 წლ. გამ., მუხ. 242, გვ. 197.

სამოქალაქო კოდექსის 406 მუხლი რსფსრ და უსსრ უზენაეს სასამართლოთა და საბჭოთა იურისტების განმარტებით*)

ბ. ფელონოვი თავის წერილში „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 406 მუხლით“ (ЕСЮ № 28—1925 წ., გვ. 955-958) აღნიშნავს აზრთა ნაირ ნაირობას აღძრული საკითხის შესახებ, გვიჩვენებს რსფსრ სამოსამართლო პრაქტიკის მერყეობას და რსფსრ და უსსრ პრაქტიკის ამ მხრივ სხვაობას. ასე, მაგალითად, რსფსრ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის განჩინებაში საქმეზედ № 236—1923 წ. (ЕСЮ 16—1923 წ.) ოქტომბრის რკინის გზის სარჩელის გამო სახელმწიფო ბანკთან ნათქვამია: „სამოქალაქო სამართლის 406 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ზიანის მიყენებას „პიროვნებისა ან სხვის ქონებისათვის“ და რომელსაც საფუძვლად ეკონომიურად სუსტთა დაცვის პრინციპი უძევს, არასგზით არ შეიძლება შეეფარდოს სახელმწიფოებრივ ორგანოს, როგორც დაზარალებულს, როდესაც ზიანი მიყენებულია, მაგრამ ცალკეული პიროვნების თუ საწარმოს ბრალეულობა დადასტურებული არ არის.“ კლიმეცის საქმეზედ ჩრდილო დასავლეთ სახელმწიფო ნაოსნობასთან უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა უკანასკნელის აზრი, რომ სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლი სახელმწიფო დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთ არ შეეფარდება (განჩ. რსფსრ უს სსკ 1925 წლის 10 იანვარის).

რსფსრ უს სსკ განჩინებაში კი საქმეზედ № 3324—1925 წ. გამოთქმულია შემდეგი: „სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის საქმისათვის მხოლოდ იმიტომ შეფარდება რომ სახელმწიფოებრივი ორგანო ქონებრივის მხრით უფ-, რო ძლიერია, ვიდრე ცალკეული მუშა, ამახინჯებს აზრს აღნიშნული მუხლისას, რომელსაც **მიზნად აქვს დასახული კლასური პრინციპის გატარება იმ დავაში მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალ ჯგუფებს რომ აქვსთ ურთიერთ შორის, და არა ცალკეული მუშის დაპირისპირება სახელმწიფოსთან სახელმწიფოებრივ ორგანოთა სახით;** ეს იქნებოდა 406 მუხლის განსაკუთრებული ნორმის ზოგად—სავალდებულო ნორმად გადაქცევა, ვინაიდგან სახელმწიფოებრივი ორგანო ყოველთვის უფრო ძლიერი იქნება ცალკეულ პიროვნებაზედ.“

უსსრ უზენაესი სასამართლო არ ღებულობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის მიხედვით, ვინაიდგან: 1) სახელმწიფოს ქონებრივი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების გარეშე შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეულ კონკრეტ შემთხვევაში ამისათვის კანონიერი საფუძველი არსებობს და 2) ცალკეული სახელმწიფოებრივი ორგანო მაშინაც კი, როდესაც ის მიმობრუნვაში გამოდის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიკული პირი, მხოლოდ განმკარგულებელია და არა მესაკუთრე უწყებული სახელმწიფოებრივი ქონებისა და ამიტომ მისი „ქონებრივი მდგომარეობის“ შედარებას კერძო პირის ქონებრივ მდგომარეობასთან არ

*) დისკუსიის წესით.

ეიძლება ადგილი ჰქონდეს (უსსრ უს ცირკულარი 1924 წლის 25 აპრილის № 21, ისკ ბულეტენი № 24).

ზემოთხსენებული წერილის ავტორი ფელონოვი ჰფიქრობს, რომ სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლი არ შეიძლება შეეფარდოს დავას სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა შორის, ვინაიდგან ასეთს შემთხვევაში არ შეიძლება „ლაპარაკი“ ეკონომიური სისუსტის“ ან „სოციალ უთანასწორობის „შესახებ, უარყოფითად სწყვეტს ავტორი საკითხსაც სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა პასუხისმგებლობის შესახებ კერძო პირთა, თუნდაც მშრომელთა, წინაშე „ზიანის უდანაშაულო მიყენებისათვის.“ შემდგომ ამხ. ფელონოვი ეხება საკითხს—შეიძლება თუ არა, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ პასუხი აგოს ცალკეულ მშრომელთა წინაშე სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის მიხედვით, და ამ საკითხს საკითხითვე უპასუხებს: „შესაძლებელია თუ არა ლაპარაკი კლასური ბრძოლის შესახებ პროლეტარულ სახელმწიფოსა და მშრომელთა შორის, შესაძლებელია თუ არა ლაპარაკი სოციალ უთანასწორობის შესახებ მათ შორის, სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შესახებ მის ცალკეულ მოქალაქეებთან შედარებით?“

გ. სვერდლოვი თავის წერილში „ნამდვილად შეუძლებელია თუ არა სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის შეფარდება დავისათვის სახელმწიფურ ორგანოსა და მშრომელს შორის“ („საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეული“ 1925 წლის № 36, გვ. 1185-1187) აკრიტიკებს ფელონოვის მოსაზრებას სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის შეფარდების შეუძლებლობის შესახებ სახელმწიფოსათვის, როგორც მოპასუხისათვის, მშრომელის, როგორც მოსარჩლის, წინაშე და ამტკიცებს, რომ 406 მუხლს ისევე, როგორც 411 მუხლს, მხედველობაში აქვს ორივე მხარის ქონებრივი მდგომარეობა, როდესაც დავობენ კერძო პირები, და მარტოოდენ კერძო პირის ქონებრივი მდგომარეობა, როდესაც სახელმწიფოა მოპასუხე. „სამოქ. სამ. კოდექსის 411 მუხლი ავალებს სასამართლოს „ჯილდოს ზომის განსაზღვრისას“ მიიღოს მხედველობაში დაზარალებულის და დამზარელებელის ქონებრივი მდგომარეობა და სასამართლო ვალდებულია ასე მოიქცეს ყველა შემთხვევაში, ე. ი. მაშინაც, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოა და მოსარჩლე კი კერძო პირი. ან კი როგორ შეიძლება სხვანაირად მოვიქცეთ, თუ ნამდვილად დავიცავთ „ეკონომიურად სუსტის დაცვის პრინციპს?“

ჟურნალის იმავე ნომერში მოთავსებულია ნ. ზალეშინის წერილი „შეიძლება თუ არა დაევალოს სახელმწიფოს მის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის წესით“. ავტორის შეხედულობით სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლი ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ საჭიროა მხოლოდ მოსარჩლის სოციალურ-ქონებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიღება და საერთოდ მოსარჩლის მიმართ ყოველმხრივ გამორკვევა საკითხისა, თუ რამდენად ღირსია იგი ზარალის ანაზღაურებისა ზემოთაღნიშნული მიზეზების მიხედვით და სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება სრულიად არ უნდა შეედაროს მოსარჩლის მდგომარეობას და თუ მოსარჩლის სარჩელი ღირსია დაკმაყოფილებისა, იგი უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს თუნდა ნაწილობრივ“.

ი. რივლინი თავის წერილში: „შეიძლება თუ არა სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლის შეფარდება, როდესაც მოპასუხე სახელმწიფური ორგანოა?“ „(მუშათა სასამართლო“ 1926 წ. № 10, გვ. 675—680) ამბობს, რომ „სამოქ. სამ. კოდექსის 406 მუხლს მიზნად აქვს მისცეს სასამართლოს შესაძლებლობა დააკისროს ცალკეულ კერძო შემთხვევაში დაზარალებულის ქონებრივი ზიანი იმ მხარეს, რომლისთვისაც იმის ანაზღაურება ნივთიერადაც უფრო ადვილია და საზოგადოებრივადაც უფრო სამართლიანია და უფრო მიზანშეწონილი. მაშასადამე 406 მუხლის შეფარდება შეიძლებ მხოლოდ მაშინ, როდესაც მშრომელია დაზარალებული და დამზარალებელი კი ან არა მშრომელთა წრეს ეკუთვნის ან და თუმცა დაზარალებულისთანა სოციალ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ მისი ქონებრივი მდგომარეობა ძლიერ განსხვავებულია დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობისაგან. (მაგ. ერთის მხრით დიდ-ჯამაგირიანი კვალიფიცირებული მოსამსახურე და მეორეს მხრივ კი-შავი მუშა) 406 მუხლის პრინციპის შეფარდება კი იმ შემთხვევებისათვის, როდესაც სახელმწიფური დაწესებულება ან საწარმოა მოპასუხე, აშკარად ეწინააღმდეგება კანონის აღნიშნულ მიზანს, ვინაიდგან, ერთი ის, რომ ცალკეული სახელმწიფური დაწესებულება ან საწარმო, თუნდა მიმობრუნვაში იგი გამოდიოდეს როგორც იურიდიკულად განთვითრებული პირი, მხოლოდ განმკარგულებელია და არა მესაკუთრე იმ ქონებისა, რომელიც მასზედ ირიცხება, და ამიტომ არ არის სწორი სახელმწიფური დაწესებულების ან საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის და კერძო პირის ქონებრივი მდგომარეობის შედარება, ხოლო თუ ავიღებთ სახელმწიფოს მთლიანად, ცალკეული მშრომელის მთლიან სახელმწიფოსთან დაპირისპირება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობის მთელს აზრს და საბჭოთა ხელისუფლების იდეას, როგორც იდეას მშრომელთა მასების ხელისუფლებისას. მეორეც ის. რომ სახელმწიფური დაწესებულებანი და საწარმონი, რომელნიც თავისი სამეურნეო საქმიანობით მონაწილენი არიან სამოქალაქო მიმობრუნვისა, მათ მიერ მიყენებული ზიანისათვის კისრულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას იმ პირობათა მიხედვით და იმ ფარგალში, რაც დადგენილია კანონით. დაზარალებულის საშუალებათა უკმარისობა თავისთავად არ შეიძლება გამოდგეს საფუძვლად ხელისუფლების ორგანოს მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურებისათვის, თუ არ არის პირობები სამოქ. სამ. კოდექსის 403-405, 407 და სხვ. მუხლების შეფარდებისათვის,—საწინააღმდეგო წესი შედეგად მოგვცემდა სახელმწიფური ბიუჯეტის დანგრევას და არსებითად გადააქცევდა სახელმწიფოს, კონკრეტი მოპასუხის სახით, სოციალ უზრუნველყოფის ორგანოდ, დამატებად არსებული ორგანოსი“.

(დასასრული იქნება)

კ. პლეტნიკოვი.

საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების შესახებ *)

საერთოდ სასამართლო ორგანოების მუშაობას მაშინ აქვს წონა და ფასი, როდესაც ის დაჩქარებით იხილავს მასთან შემოსულ საქმეებს და ამით დროზე უპასუხებს მოქალაქეთა მიერ დასმულ საკითხებზე. მაგრამ თუ სასამართლო თვეობით აგვიანებს საქმის დაბოლოვებას, შეუძლებელია ლაპარაკი სასამართლოს ორგანოების საქმიანობის სათანადო ნაყოფიერებაზე. თუ ყველაფერი ეს ითქმის საერთოდ სახალხო სასამართლოებზე, მით უმეტესად ეს უნდა ითქვას დღეს მომქმედ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებზე.

პრაქტიკიდან ვიცით, რომ სოფლის მეურნე, რომელიც საადგილ-მამულო სასამართლოში ღრავს სარჩელს მიწით სარგებლობის უფლების შესახებ, დაგვიანებას ვერ ითმენს და თუ მას სწრაფად არ გაეცა სათანადო პასუხი გადაწყვეტილების სახით, აღძრულ დავას ეკარგება მის თვალში ის ნიშვნელობა, რაც მას თავში ჰქონდა. ეს გარემოება კი უსაოუოდ უკმაყოფილებას ქმნის მოსმხლეობის დიდ უმრავლესობაში და ძალაუნებურად აფიქრებიებს მოსახლეობის ნაწილს პირი იბრუნოს სასამართლოსაგან და მან თვითონ ეძიოს მიწით სარგებლობის დავის გადაჭრის სხვა საშუალებანი.

ამ მხრივ როგორია მდგომარეობა საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიების მუშაობაში?

საადგილ-მამულო კოლეგიები, როგორც სპეციალური სასამართლო, იხილავს მარტო საადგილ-მამულო საქმეებს, ამ სასამართლოში მსაჯულებად უნდა იყვენ ადგილობრივი თემის აღმასრულებელი კომიტეტის სასოფლო სამეურნეო სექციის თავმჯდომარე და ერთი წევრიც, რომელსაც დანიშნავს თემაღმასკომი, ხოლო თავმჯდომარეთ მოსამართლე. ამრიგად, როგორც ვხედავთ, საადგილ-მამულო საქმეს სარაიონო სასამართლოს თავმჯდომარის გამოკლებით ადგილობრივი თემიდან სპეციალურად დანიშნული მსაჯულები იხილავენ, რომ არ დაირღვეს მიწის კოდ. 162 მუხლი, საჭიროა სასამართლომ ან აქეთ, ე. ი. სარაიონო ცენტრში გამოიწვიოს თემიდან დასახელებული მსაჯულები ან და იქით გაემგზავროს თემის ცენტრში და გაარჩიოს საქმე; მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით შემდეგი სახის დაბრკოლებებს: 1) თემების ნაწილი სარაიონო სასამართლოს სამყოფი ადგილიდან დაშორებულია ზოგჯერ 10—15 და 20 ვერსის მანძილით, ასეთ პირობებში სავსებით მიზანშეუწონელია, სასამართლომ გამოიწვიოს თემიდან მსაჯულები და გაარჩიოს საქმე. გარდა ამისა მიწის შესახებ დავის ყოველი მხრით და სწორად განხილვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სასამართლო მას არჩევს ადგილობრივად, თემში. ასე, რომ ასეთ საქმეების სარაიონო სასამართლოს ცენტრში გარჩევა მიუღებლად უნდა იქნეს ცნობილი. 2) მაგრამ თუ სასამართლო მტკიცედ გადასწყვეტს, რომ მიწის დავა განიხილოს ადგილობრივად თემში, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ამას ის დროზე ვერ შეასრულებს შემდეგი მიზეზების გამო: ა) მოსამართლე დატვირთულია გარდა მიწის საქმეებისა კიდევ მრავალი სხვა საქმეებით: მას აქვს წინასწარ, ორი სამი თვით ადრე დანიშნული გასარჩევი საქმეები, ბ) ასე რომ არ იყოს, სასამართლო ობიექტიური მიზეზების გამო მუდამ, როგორც ეს იქნება საჭირო, ვერ ახერხებს სესიების მოწყობას, ამნაირად ზემოხსენებულ ორ მუხლში აღნიშნული გარემოებანი გვიმტკიცებენ იმას, რომ მიწით სარგებლობის გარშემო წამოჭრილი დავა რამოდენიმე თვის განმავლობაში ვერ გადაწყდება.

რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროდ მიმაჩნია გატარებულ იქნეს შემდეგი სახის ღონისძიება 1) ან უნდა გადიდდეს სასამართლოს უბნების ქსელი მაზრაში და იმავე დროს საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია, როგორც ასეთი, გაუქმდეს და საადგილ-მამულო ხასიათის დავა გადაეცეს განსახილველად ჩვეულებრივ სახ. სასამართლოს.

2) თუ ეს მიუღებელი შეიქნება, მაშინ მაზრაში აუცილებლად უნდა დაარსდეს ერთი მოძრავი სახ. სასამართლოს შტატი მარტო მოსამართლის და მდივნის შემადგენლობით, რომელმაც უნდა ისარგებლოს არსებული სახ. სასამართლოს კანცელარიით და მათ უნდა დაევალოს სისტემატიურად თემებში სიარული და განსაკუთრებით მიწის დავების განხილვა.

ამ ორ ღონისძიებიდან ერთის ცხოვრებაში გატარებით სასამართლო დაუახლოვდება მშრომელ მოსახლეობას და ამით ეს მტკივნეული საკითხი გადაიჭრება ისე, როგორც ამას მოითხოვს მშრომელი მასის ინტერესები.

ი. გულორდავა.

*) დისკუსიის წესით.

ვინ უნდა ჩაითვალოს ბინის დამქირავებლად *)

სასამართლოს პრაქტიკის რთულ და სერიოზულ საკითხს წარმოადგენს მუშა-მოსამსახურეთა ბინიდან გამოსახლება. ამიტომ ამ საკითხს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

უმთავრესი მიზეზი ბინიდან გამოსახლებისა, არის ქირის სისტემატიურათ გადაუხდელობა დამქირავებელის მიერ, განზრახ ან დაუდევრობით ბინის წახდენა და იმ მიზეზით, უკეთუ ბინის დამქირავებელი თავის ყოფა-ქცევით შეუძლებელ ჰყოფს სხვა მცხოვრებთათვის სახლში მასთან ერთად ცხოვრებას. რასაკვირველია იმ მიზნით, რათა დაცული და შენარჩუნებული იქნეს არსებული საცხოვრებელი ბინის ფონდი—მეტია ლაპარაკი ისეთ მობინადრის გამოუსახლებლობაზედ, რომელთა მიმართ დადასტურებულ იქნებიან ჩამოთვლილი გარემოებანი. ამ წერილით ჩვენ გვინდა მივაქციო ამხანაგების ყურადღება სრულიად სხვა გარემოებებზედ, სახელდობრ იმაზე, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს დამქირავებელ პირათ და უკეთუ ეს პირი (დამქირავებელი) გავიდა ოჯახიდან, გადადის თუ არა ოჯახის მეორე პირზედ დამქირავებელის უფლებები. ეს საკითხი ამ ჟამათ წამოჭრილია სასამართლოს წინაშე: მოკლე ხანში გამოტანილი იქნება ამ საკითხის განმარტებაც და მისი სისწორით გადაწყვეტისათვის საჭიროა წი-

*) დისკუსიის წესით.

ნასწარ მოფიქრება, რომ კვლავ არ დაგვჭირდეს ჩვენი გადაწყვეტილების გადათვარიელება, ახალი განმარტების გამოტანა.

ზოგიერთი ჩვენი, საკმაოთ ავტორიტეტული, ამხანაგები აცხადებენ, რომ „დამქირავებელ პირს წარმოადგენს ოჯახის ის წევრი, რომელმაც გამქირავებელთან შეთანხმება დასდო, და უკე-თუ ამ პირმა დასტოვა ბინა, დანარჩენ ოჯახის წევრებს ესპობათ უფლება იქ ცხოვრებისა და გამოსახლებულ უნდა იქნენო". საკითხის ასეთი წესით გადაჭრა და ისიც მშრომელთა მიმართ ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობის ძირითად აზრს, ვინაიდან ჩვენი კანონმდებლობა ემსახურება მშრომელთა კლასის ინტერესებს და იგი შექმნილია ამავე კლასის დასაცავათ. არავისათვის დაფარული არ არის, რომ ამ ჟამათ ტფილისი განიცდის საბინაო კრიზისს. თუ რა არის ამის მიზეზი, ესეც ნათელია. ამ საკითხს ჩვენ არ შევეხებით, ხოლო აღსანიშნავია, რომ ასეთ პირობებში მობინადრის გამოსახლებას უნდა მიუდგეთ სიფრთხილით, მიზანშეწონილობის თვალსაზრისით და არა ისე, როგორც აღნიშნავენ ზოგიერთი ამხანაგები.

მაგალითად: ოთახი დაიქირავა ოჯახის უმფროსმა — „მამამ"; ამ ოთახში მას ეყოლა შვილი, რომელიც შეიქმნა ცოლ-შვილის პატრონი; ვინაიდან ორივე ოჯახი აქ ველარ თავსდებიან, მამა ქირაობს თავისთვის სხვა ბინას და გადადის მასში. ისმება საკითხი, აქვს თუ არა უფლება გამქირავებელს გამოსახლოს მამის მიერ დაქირავებულ ოთახიდან შვილი? ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ არა აქვს იმიტომ, რომ იგი დაიბადა და შეიზარდა ამ ოთახში, იმიტომ, რომ იგიც ითვლებოდა და (მით უმეტეს მამის ოჯახიდან წასვლის შემდეგ) მექანიკურათ უნდა ჩაითვალოს დამქირავებელ პირათ ან და მეორე მაგალითი. ორი ძმა შედის საცხოვრებლათ ერთ ოთახში. სადაც სცხოვრობენ რამოდენიმე წლის განმავლობაში. ერთი მათგანი, რომელმაც აწარმოა მოლაპარაკება სახლის პატრონთან ბინის დაქირავებაზე, ხდება ცოლშვილის პატრონი; ვინაიდან ეს ორი ძმა ველარ ეტევა ამ ოთახში, მეორე ძმა გადადის საცხოვრებლათ სხვა ბინაზედ. შეიძლება თუ არა გამოსახლება ოთახში დარჩენილ მეორე ძმისა? რასაკვირველია არა. მოწინააღმდეგე ამხანაგები ლაპარაკობენ, რომ ოჯახის არც ერთი პირი, რომელსაც უშუალოდ არ დაუდვია პირობა გამქირავებელთან, არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამქირავებელ პირათ და გამოსახლებულ უნდა იქნენ ბინიდან, უკეთუ ნამდვილი დამქირავებელი წავიდა ოჯახიდან, გარდა იმ მიზეზისა, თუ კი დამქირავებელი ოჯახის წევრი გარდაიცვალა ან და ცოლ-ქმარნი გაიყარნენ. ამ პირობებში მოწინააღმდეგე ამხანაგები ავრცელებენ ოჯახის დარჩენილ წევრზედ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებს. ამხანაგების ასეთი მოსაზრება არ არის სწორი და ეწინააღმდეგება არსებულ საბინაო კანონებს. შეუძლებელია, რომ ბინის საკითხის გადაჭრის დროს მთლიანათ და უცვლელათ ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილით, რომელშიაც გათვალისწინებულია ქონების ქირავნობა, და ეს იმიტომ, რომ ბინის დაქირავების საკითხი შეიცავს განსაკუთრებულ პირობებს.

დებულება ბინის ქირის გადახდევინების შესახებ ნათლად აღნიშნავს, რომ ქირა გადაეხდევინება იმის შემოსავლის მიხედვით ვისაც ასეთი უფრო მეტი აქვს. ეს გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული ქირავნობა არის განსაკუთრებული ხასიათის. შეუძლებელია კანონის მშრალად შეფარდება და თქმა, რომ დამქირავებელი არის განსაზღვრული პირი, ვინაიდან ხშირია მაგალითი, რომ დამქირავებელის შვილს, ძმას ან და რომელიმე ოჯახის წევრს მეტი შემოსავალი აქვს და ქირასაც იგი იხდის. მაშ რაშია საქმე? რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს ეს უკანასკნელი დამქირავებლათ? რით შეუძლიათ ჩვენი მოწინააღმდეგე ამხანაგებს გაამართლონ ასეთი პირის გამოსახლება? ჩემის ღრმა რწმენით ამხანაგების ასეთი შეხედულება შემცდარია და ეს კითხვა განმარტებულ უნდა იქნეს იმ სახით, რომ ოჯახის წევრი, თუ კი ის არ არის ჩასახლებული სხვა მოსაზრებით, მაგალითად ბინის შენარჩუნებისათვის და თუ კი ბინაში ცხოვრობს რამოდენიმე წლების განმავლობაში, უნდა ითვლებოდეს დამქირავებელ პირათ და ის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი გამოსახლებიდან.

ვ. გაგნიძე.

შეგებებული სარჩელი*)

6. ვის შეუძლიან შეგებებული სარჩელის წარდგენა.

ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა შეუძლიან მხოლოდ მოპასუხეს და არა მოსარჩელეს. თუმცა ეს უკანასკნელი შეგებებული სარჩელის წარდგენისთანავე მოპასუხე ხდება, მაგრამ ეს მაინც არ აძლევს მას უფლებას მოპასუხის შეგებებულ სარჩელს თავის მხრივაც შეაგებოს სარჩელი.

თუ მოპასუხე რამდენიმეა, შეგებებული სარჩელის წარდგენა თვითეულ მათგანს შეუძლიან. თუ საქმეში რამდენიმე მოსარჩელეა თვითეულ მოპასუხეს შეუძლიან თავისი შეგებებული სარჩელი წარუდგინოს თვითეულ მოსარჩელეს.

მესამე პირი, როგორც ის, ვინც თავის ნებით ჩაერია საქმეში მოსარჩელეს ან მოპასუხის მომხრედ, აგრეთვე ისიც, ვინც ჩაბმულ იქნა ერთი ან მეორე მხარის მიერ, არ შეიძლება მოპასუხედ ჩაითვალოს და ამიტომ მას უფლება არა აქვს წარადგინოს შეგებებული სარჩელი.

ხოლო ის მესამე პირი, რომელმაც დამოუკიდებელი სარჩელი (წარუდგინა სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 169 მუხ.) პირვანდელი სარჩელით მოსარჩელეს ან მოპასუხეს, ამ უკანასკნელთ აყენებს მოპასუხის მდგომარეობაში ამიტომაც მ.თ, როგორც მოპასუხეებს, შეუძლიანთ შეგებებული სარჩელი წარუდგინონ საქმეში დამოუკიდებელ მოსარჩელედ ჩარეულ მესამე პირს.

7. შეგებებული სარჩელის წარდგენის წესი. შეგებებული სარჩელის წარდგენისათვის კანონით არავითარი განსაკუთრებული წესი არ არის შემოღებული. იგი წარდგენილ უნდა იქნეს იმავე წესით, რაც საერთოდ სარჩელის წარდგენისათვის არის დაკანონებული (76—92 მუხ.). სხვათა შორის საჭიროა აღინიშნოს, რომ, თუ შეგებებული სარჩელი წარდგენილ იქნა თვით სხდომაზეკე, მოსარჩელეს თუ იგი ამას მოიოხოვს, შეიძლება მიეცეს დრო ამ სარჩელის გასაცნობად და მის წინააღმდეგ მოსამზადებლად. ამიტომ შესაძლებელია, საჭირო გახდეს სხდომის გადადება.

8. შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარისთქმა. სასამართლოს შეუძლიან არ მიიღოს შეგებებული სარჩელი: 1) თუ იგი წარდგენილია იმ პირის მიერ. ვისაც, ზემოთაღნიშნულის მიხედვით. საამისო უფლება არა აქვს, 2) თუ იგი წარედგინება იმ პირს ვისთვისაც არ შეიძლება ასეთი სარჩელის წარდგენა, 3) თუ იგი, თავისი

*) იხ. „საბჭოთა სამართალი"—№ 14

ფასით და გვარით არ ექვემდებარება ამ სასამართლოს, 4) თუ იგი წარდგენილ იქნა საქმის განხილვისათვის დანიშნული დღის შემდეგ და 5) თუ ამ სარჩელის ნაკლი აღნიშნული დღისათვის არ იყო გამოსწორებული.

9. შეგებებული სარჩელის მიღების შედეგები. თუ სასამართლო მიიღებს შეგებებულ სარჩელს განსახილველად, ეს სარჩელი შეუერთდება პირვანდელი სარჩელის წარმოებას და მასთან ერთად განიხილება. მაგრამ პირვანდელი სარჩელის წარმოების მოსპობა ამა თუ იმ მიზეზით არავითარ შემთხვევაში არ გაუფიწვევს შეგებებული სარჩელის წარმოების მოსპობას, თუნდაც იგი არ ექვემდებარებოდეს ამ სასამართლოს სამოქ. სამ. საპრ. კოდ, 26, 28 და 29 მუხლებისამებრ.

საკითხს იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა მოხდეს ერთ წარმოებაში შეერთებული ორი სარჩელის განხილვა, გადასწყვეტს თვით სასამართლო, ამასთან უნდა გამოირკვეს პრეიუდიციალური ხომ არ არის რომელიმე ამათგანი, ე. იგი — ხომ საჭირო არ არის ერთ-ერთის წინასწარ განხილვა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ორივე სარჩელი უნდა გადაწყვეტილ იქნეს ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე გადაწყვეტილებით.

10. შეგებებული სარჩელი და მისი წარდგენის დრო. შეგებებული სასარჩლო განცხადება უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 82 მუხლით და წესებულია საერთოდ სასარჩლო განცხადებისათვის, მაგრამ ამასთან შეგებებული სასარჩლო განცხადების ყველა ნაკლი უნდა გამოსწორებულ იქნეს არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღისთვისაც საქმე დანიშნულია განსახილველად (სამ. სამ. საპრ. კოდ. 82 მუხ. შენიშვნა).

აქედან უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ თვით შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება როგორც სხდომამდე, ისე პირველი სხდომის დროსვე, მხოლოდ ამ შემთხვევაში იგი უნდა შეესაბამებოდეს სამ. სამ. საპრ. კოდ. 77 და 78 მუხ. მოთხოვნას, გარდა იმ მოთხოვნისა რასაკვირველია რაც აღნიშნულია 77 მუხ. „გ" პუნქტში, რადგანაც ცნობა მოსარჩელეს საცხოვრებელი ადგილის და მუდმივი ხელობის შესახებ უნდა უკვე აღნიშნული იყოს პირვანდელ სასარჩლო განცხადებაში; ამიტომ ასეთი ცნობის შეუტანლობა შეგებებულ სარჩელში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ სარჩელის მიღებაზე უარის საფუძვლად. სათანადო შემთხვევაში ყველა გამოსაღები ბაჟი უნდა აღნიშნულსავე ვადაზე იყოს წარდგენილი.

აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თუ საქმის განხილვის დღისათვის მოპასუხეს არ ჰქონია უწყება ჩაბარებული. მას შეუძლიან წარადგინოს შეგებებული სარჩელი იმ სხდომამდე, რომლის შესახებაც უწყებას მიიღებს და თვით ამ სხდომაზედაც. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მოპასუხე ვეღარ შესძლებდა შეგებებული სარჩელის წარდგენას, რადგანაც მას არ ჰქონდა ცნობა საქმის განხილვის დღის შესახებ.

11. შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის შედეგი. შესაძლებელია მოხდეს. რომ სასამართლომ, თუმცა მას საამისოდ კანონიერი საფუძვლები არ აქვს შეგებებული სარჩელი არ მიიღოს განსახილველად. აშკარაა მოპასუხეს უნდა მიეცეს უფლება აანასაჩივროს საზამართლოს ეს მოქმედება, რადგანაც უამისოდ შეიძლება შეიქმნას შემდეგი მდგომარეობა: პირვანდელი სარჩელი აღძრულია ფულის გადასგზდევინებლად ხელშეკრულების ძალით. წარდგენილია შეგებებული სარჩელი ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. თუ შეგებებულ სარჩელს არ მიიღებს სასამართლო და მოპასუხე იძულებული გახდება თავზსი შეგებებული სარჩელი წარადგინოს ცალკე, როგორც დამოუკიდებელი სარჩელი, შეიძლება მოხდეს, რომ ეს ორივე სარჩელი, სხვადასხვა დროს იქნეს გარჩეული და ცალ-ცალკე დაკმაყოფილებული, მაშინ როდესაც, თუ ისინი ერთ დროს იქნებოდნენ განხილული, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება ე. იგი, ხელშეკრულების ბათილად ცნობა, აშკარაა გამოიწვევდა პირვანდელ სარჩელის უარყოფას. აქედან ცხადია, მოპასუხეს უნდა მიეცის შესაძლებლობა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განსაჩივრებისა ცალკე საჩივრის წესით, თანახმად სამ. სამ. საპრ. კოდ. 249 მუხლისა, რომლითაც დაშვებულია ისეთი გადაწყვეტილებანი განსაჩივრება, რაც შეუძლებლად ხდის საქმის მსვლელობას.

12. ხად შეიძლება შეგებებული სარჩელის წარდგენა. სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 71 მუხ რედაქციით ისე გამოდის, თითქოს შეგებებული სარჩელის წარდგენა მხოლოდ სახალხო სასამართლოში შეიძლებოდეს, და მართლაც ამ მუხლში ნათქვამია: „უკეთუ წარდგენილია ისეთი შეგებებული სარჩელი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან და რომელიც არ ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, ეს უკანასკნელი მოსპობს თავისთან ამ საქმის წარმოებას და გადასცემს მას სათანადო ოლქის სასამართლოს (სამაზრო სასამართლოს)". ეს რედაქცია არც თუ სავსებით სწორია. ამას აშკარად მოწმობს ჯერ ერთი ის, რომ თვით ამ მუხლისვე მიხედვით საქმე უნდა წარდგენილ იქნეს ოლქის სასამართლოში, ეს კი ნიშნავს რომ შეგებებული სარჩელი სწორედ ამ უკანასკნელ სასამართლოშია წარდგენილი.

მართლაც, რევოლიუციამდე მომქმედი 1912 წელს გამოცემული სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების 36 მუხლას თანახმად. თუ შეგებებული სარჩელი, განუყრელად დაკავშირებული პირვანდელ სარჩელთან, მომრიგებელ მოსამართლეს არ ექვემდებარებოდა, მოსამართლე მოსპობდა თავისთან წარმოებას და მხარეთ თავისი სარჩელი უნდა წარედგინათ ოლქის სასამართლოში. ასეთი წესი იწვევდა საქმის გაჭიანურებას, რადგანაც მოსამართლე იძულებულია თავისი სარჩელი, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარებოდა, წარედგინა ოლქის სასამართლოში, ამით კი დროს იგებდა მოპასუხე, რომელსაც შესაძლებელია შეგებებული სარჩელი არც კი წარედგინა.

ჩვენი სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 81ᵉ მუხლი არსებითად იგივე შინაარსისაა, მხოლოდ შესწორებულია რედაქციის მხრივ, სახელდობრ, ამ მუხლით სახალხო სასამართლო ვალდებულია მიიღოს შეგებებული სარჩელი, თუნდაც იგი მასარ ექვემდებარებოდეს, და გადაგზავნოს, ქვემდებარეობისამებრ, სამაზრო სასამართლოში. ეს კი უნდა ისე ჩაითვალოს, ვითომც შეგებებული სარჩელი სწორედ სამაზრო სასამართლოში ყოფილა წარდგენილი.

ამას ნათლად ამტკიცებს აგრეთვე ისიც, რომ სახალხო სასამართლოში შეიძლება ისეთი შეგებებული სარჩელის წარდგენა, რომელიც უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება, 81ᵉ მუხლის მიხედვით კი ეს სარჩელი სახალხო სასამართლომ უნდა სამაზრო სასამართლოს გადაუგზავნოს აღნიშნულის მიხედვით ეჭვს გარეშეა, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება არა მხოლოდ სახალხო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, არამედ სამაზრო და უზენაეს სასამართლოებშიც. ამას ადასტურებს ძირითადი 81ᵉ მუხლი, რომელშიც ამ მხრივ არავითარი შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული.

ა. ალხოვი.

თემალმასკომებზე ქვემდებარე საქმეების შესახებ

თემალმასკომებს გადაეცა გასარჩევად ტყის გაჩეხვის და წანახედის საქმეების (15-დე) გარჩევა 1927 წ. მარტის თვიდან.

ზოგიერთ თემალმასკომებში სრულებითაც არ გაურჩევიათ საქმეები მიუხედავად იმისა, რომ 1 წელზე მეტია, რაც საქმე არის მათ წარმოებაში. საქმე არ ინიშნება თავის დროზე, საქმეები არ არის შედგენილი როგორც წესია და რიგი და სხვა მრავალი დეფექტებია აღმოჩენილი.

დიდი მიღწევა არის ამ დარგში, რომ გლეხს შეუძლია თავის ბოსტნის ზარალის ანაზღაურებისათვის მიმართოს თავის თემალმასკომს და იქ გაირჩეს მისი საქმე. გლეხს წინედ სასამართლოში სიარული ეზარებოდა ბოსტნის ზარალის 2—3 მანეთის გადახდევინებისათვის. სასამართლოშიაც საქმე თავის დროზე არ ირჩეოდა; სასამართლო დატვირთული იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქ-

მეებით, უდავოა, რომ თემალმასკომებზე აღნიშნულ საქმეების გადაცემა მოგვცემს ჩვენ გლეხობის დამაკმაყოფილებელ ნაყოფს. საქმის წარმოების დეფექტების გამოსწორება, როგორიცაა: საქმის თავის დროზე დაუნიშნელობა, საქმის არა სწორად შედგენა, მხარეებისათვის წინადადების მიცემა აღმასკომის მიერ საქმის გარჩევის დროს, „რომ ისინი მორიგდნენ", წანახედის სის. სამ. წესით გარჩევა, ამნისტიის სწორად შეფარდება და სხვა, ყველა მათი დეფექტები გამოსწორდეს, ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია თემალმასკომების თავმჯდომარეების და მათი მდივნების თათბირის მოწვევა სასამართლო უბნების მიხედვით, რომელ თათბირზე ხელმძღვანელობის გაწევა უნდა დაეკისროს თვით სახალხო მოსამართლეებს და ამ თათბირზე დეტალურად უნდა იქნეს გაცნობილი და შესწავლილი ზემოდ აღნიშნულ ხასიათის საქმეების სწორად წარმოება და გარჩევა.

თათბირზე ტეხნიკურ მხარის შესწავლა უნდა დაეკისროს სასამართლოს მდივნებს.

ბიქტორ შონია.

სასამართლოში შემოსულ ფულების და მარკების გაყიდვის შესახებ

სასამართლოში მარკების გაყიდვის და ფულების შენახვის საკითხი ვერ არის სასურველად მოწყობილი; ვინაიდან მოსამართლეს დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს — მას დრო არ ურჩება ამ საქმეზე საგანგებოდ მოსცდეს და აწარმოოს მარკების გაყიდვა და სხვა. სავსებით ვეთანხმები „საბჭოთა სამართალში" № 13-ში მოთავსებულ ამხ. ი. კალანდაძის წერილს სადაც სხვათა შორის აღნიშნავს რომ ხალხის თვალშიდაც მოსამართლე კარგავს ფასსო ამ მარკების ვაჭრობის დროსო. ჩემის აზრით ღონისძიებები მითითებული ამხ. ი. კალანდაძისა მისაღებია. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს რომ მოსამართლე არ გავაცდინოთ ასეთ საქმეზე და მივსცეთ მეტი დრო რასაც მოახმარს მართლმსაჯულებას.

ი. კაციტაძე.

ზნეობრივი სიფაქიზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასამართლოს მუშაკისათვის.

მართლმსაჯულება, სასამართლო, მოსამართლე! ეს სამი სიტყვა ბევრი რისამე მომასწავებელია და სასამართლოს დარგში მომუშავე ამხანაგებმა უნდა გაიგონ მათი დიადი მნიშვნელობა. ზნეობრივი სიფაქიზე, მორალი ეს თანდაყოლილ თვისებას უნდა წარმოადგენდეს მოსამართლისას.

მართლმსაჯულება სარკეა ყველა სახელმწიფოსი, მით უმეტეს ეს ითქმის ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოზე. ჩვენ დავამყარეთ რევოლიუციური კანონიერება და თავის თავად ცხადია ამ კანონიერების ცხოვრებაში გამტარებელნი არიან მუშების და გლეხების წრიდან წარმოშობილი მოსამართლენი.—ზედმეტია ლაპარაკი ბურჟუაზიულ ქვეყნების კანონიერებაზე. იქ სასამართლოებში სხვადან უმაღლესი სწავლით აღჭურვილნი ბურჟუა-კაპიტალისტების წრიდან წარმოშობილნი ელემენტები, რომელნიც საკითხს სჭრიან კლასური ბურჟუაზიულ თვალსაზრისით. ჩვენ კი წინააღმდეგ: მუშურ-გლეხური მიდგომით და თვალსაზრისით, ეს ასეა, მაგრამ არ იქნება ურიგო, თუ აღვნიშნავთ ზოგიერთ დეფექტს ჩვენი სასამართლოების ცხოვრებიდან და შევეცდებით მის გამოსწორებას.

საქმის ინტერესი მოითხოვს ვამხილოთ ყოველი ნაკლი.

პირველი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს მუშაკნი ანუ მოსამართლენი არ არიან საგანგებოდ შერჩეულნი; მოსამართლე უნდა იყოს თანამდებობისათვის სათანადოთ მომზადებული, ცხოვრებაში გამობრძმედილი

სასამართლო და ცხოვრება

რევიზიის შედეგები

I.

იმისათვის, რომ მომავალში შესაძლებელი გავხადოთ იმ უამრავი დეფექტების გამოსწორება და თავიდან აცილება, რომელიც აღმოაჩინა ტფილისის უბნის სახალხო სასამართლოების მუშაობაში ეხლახან დამთავრებულმა რევიზიამ, საჭიროა ამ დეფექტების დახარისხებასთან და მათი ხასიათის გამორკვევასთან ერთად შევისწავლოთ მისი გამომწვევი მიზეზები და ის პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ ნაკლულოვანებათა წარმოშობას და განვითარებას. რევიზიამ დაიწყო თავისი მუშაობა მიმდინარე წლის დასაწყისში და მხედველობაში ჰქონდა გამოერკვია სასამართლოს მუშაობის სამნეო, ადმინისტრატიული, ფინანსიური და პოლიტიკურ-კლასიური მხარე და ამ მიმართულებით ჩატარებულმა გამოკვლევამ ნათლად გამოაშკარავა, რომ არც ერთ ზემოდ დასახელებულ სასამართლოს მუშაობა თავისუფალი არ არის მნიშვნელოვან ნაკლულოვანებისაგან, რომ არ ვილაპარაკოთ იმ წვრილმან და მკირემნიშვნელოვან დეფექტებზე, რომელიც საერთოდ ყველა ცოტათი თუ ბევრად რთული მუშაობის ჩვეულებრივი თანამგზავრია. ზოგიერთ უბანში აღმოჩნდა მითვისება გაფლანგვა, რის შესახებაც ჩვენს პრესაში უკვე იყო ინფორმაციული ცნობები, ზოგან კი ადგილი აქვს ისეთ მოქმედებას, რომელიც ისაზღვრება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულით, ხოლო ყველა უბნებში აღმოჩენილია ისეთი საერთო ხასიათის დეფექტები, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება საბჭოთა სასამართლოს ბუნებას და იწვევს იმ ბიუროკრატიულ გადახრებს და ვოლოკიტას, რომელშიდაც ხშირად უსაყვედურებენ იუსტიციის დარგს. საერთო ხასიათი აქვს ფინანსიური ანგარიშების მოუწესრიგებლობას, რამაც შესაძლებელი გახადა ხანგრძლივი და სისტემატიური გაფლანგვა-მითვისების შესაძლებლობა, ჯარიმების თავის დროზე და წესიერად გადაუხდელობის გამო ხაზინისათვის მძიმე მატერიალური ზარალის მიყენებას, კანცელარიის მუშაობაში უსისტემობას და კონსერვატიზმს, აქა იქ ჩვენი მართლ-მსაჯულების პოლიტიკური და კლასური ხაზის დამახინჯებას და სხვა.

გადავიდეთ ფაქტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პროლეტარულ-რევოლიუციური სულით გაჟღენთილი, მტკიცე ნების-ყოფის და საკმაოდ მცოდნე წერაკითხვისა.

სამწუხაროდ ჩვენს სინამდვილეში ეს ასე არ არის. უნდა აღვიარო გულახდილად, რომ 50 პროცენტი მაინც (თუ მეტი არა) ჩვენი სასამართლოს მუშაკებისა არ არის დანიშნულების შესაფერისი და ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ბევრი საკმაოდ ვერ არკვევს საკითხს და მუშაობს მდივნის კარნახით, რაც ყოვლად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს მდგომარეობა კი იწვევს საქმეების დაუსრულებელ გაჭიანურებას, ჰქმნის კასაციურ საბაბებს, მეორე ინსტანციის მიერ განაჩენების გაუქმებას და ხელმეორედ განსახილველად საქმის გადაკემას.

ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ მეორე ინსტანციაც ვერ ერკვევა საკმაოდ საკითხში და ეს გარემოებაც იწვევს ზედმეტად საქმის გაჭიანურებას.

ასეთი მდგომარეობით კი სარგებლობენ დამცველთა კოლეგიის წვრები: ესენი ფორმალისტები არიან, ძველი სკოლის ხალხია და თუ რამ ფორმალური დეფექტი აღმოაჩინეს ამა თუ იმ განაჩენში, მაგრად ჩასჭიდებენ ხელს და (რა თქმა უნდა თავის ჯიბის სასარგებლოდ) სწერენ თითო მეტრიან კასაციურ საჩივრებს.

ეს ერთი. მეორე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის ზნეობრივი სიფაქიზის საკითხი. მე არ მინდა სასამართლოს მუშაკი დავსახო ზე-კაცად, ცხოვრების სინამდვილისაგან დაშორებულ პიროვნებად, მაგრამ ამავე დროს მე მოვითხოვ რომ ის იყოს ზნეობრივად ფაქიზი, სპეტაკი, მტკიცე ნების-ყოფის ადამიანი, არავის გავლენის ქვეშ არ უნდა იმყოფებოდეს და უნდა გაატაროს ცხოვრებაში ის დირექტივები, რასაც აკისრებს მას მუშურ-გლეხური ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი კომპარტია.

მტკიცე ნებისყოფა და ზნეობრივი სიფაქიზე იმისთვის არის საჭირო, რომ მოსამართლე არ წამოეგოს ხელოვნურად დაგებულ ანკესზე, არ მოექცეს ამა თუ იმ პიროვნების ან წრის გავლენის ქვეშ და ხათრიანობისა და ნათლიმამობის ქსელში არ გაებას, ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ გვერდს ავუქცევთ ძველს დამყაყებულ ტრადიციებს, ქორწილებს, ქელეხებს, მიპატიჟ-მოპატიჟებას და სხ. ასეთ მოვლენებს ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მთელი ჩვენი არსებით და ძირ-ბუდიანად აღმოვფხვრათ ეს არა სასურველი ნაკლი. თუ გვინდა სასამართლოს მუშაკების პრესტიჟი ავსწიოთ, თუ გვინდა სასამართლოს საქმე დავაყენოთ სათანადო სიმაღლეზედ, მომავალში სასამართლოს მუშაკების კადრი უნდა იქნეს სათანადოთ შერჩეული და ვინც დღეს მუშაობს, ის უნდა განთავისუფლდეს ყოველ-გვარი მავნე ზნე-ჩვეულებისაგან და დადგეს თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

სასამართლოს მუშაკი.

დამცველთა კოლეგიაში

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქ. დამცვ. კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

„საბჭოთა სამართალის“ მე-9 № ში მოსამართლე კალანდაძის მიერ მოთავსებული წერილის შესახებ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

განიხილა რა სამაზრო-საქალაქო სასამართლოს წევრის რ. კალანდაძის წერილი სათაურით „დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის საყურადღებოთ“, მოთავსებული „საბჭოთა სამართლის“ მე 9 № ში, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ა-წ. 19 ივლისს დაადგინა: პასუხად ეცნობოს რ. კალანდაძეს „საბჭოთა სამართლის“ უმახლობელეს ნომერში, რომ დამცველთა კოლეგიის წევრის მხრით, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში და გადაწყვეტილების

პირველ უბანში მდივნის მიერ გაფლანგულია სასამართლოს ბაჟის და ზედნართის სახით შემოსული 1705 მანეთი, მესამე უბანში ისევ მდივნის მიერ 1933 მანეთი. და მეხუთე უბანში 3752 მან. როგორც სარევიზიო მასალებიდან სჩანს გაფლანგვას ხანგრძლივი და სისტემატიური ხასიათი ჰქონდა და დანაშაულის ფორმა და თვისება ყველგან ერთი და იგივეა. გამფლანგველები უკვე დაპატიმრებულია და ისინი ჩვენ აღარ გვაინტერესებენ. ჩვენთვის საინტერესოა ის პირობები, რომლებმაც საშუალება მისცა მათ 1925 წლიდან დაწყებული უკანასკნელ ხანებამდე ეწარმოებიათ სისტემატიური გაფლანგვა, რომელიც დარჩა შეუმჩნეველი.

დასახელებულ უბნებში აღმოჩნდა მთელი რიგი სამოქალაქო საქმეებისა, რომლებზედაც სრულად არ იყო დაკრული სასამართლოს მარკები და რომელშიდაც არ მოიპოებოდა არავითარი ნიშნები ზედნართის გადახდევინების შესახებ. შემოსული თანხა კი მითვისებულია. ყველა სასამართლოს მუშაკმა კარგად იცის თუ რამდენად ადვილია ამგვარი ბოროტების აღმოჩენა ჯერ მარტო ზერელე გადათვალიერებითაც. ეს ფაქტი მოსამართლეებსაც უნდა შეემჩნიათ, კინაიდან თითეული საქმე ვიდრე საბოლოდ განიხილებოდეს, რამოდენიმეჯერ გაივლის მათ ხელში და აგრეთვე ძიებითი განცხადებაზე მარკების უქონლობა არამც თუ ადვილი შესამჩნევია, არამედ საკვირველიც კი არის ამ გარემოების შეუმჩნევლობა. დანაშაული ჩაიდინეს ისეთმა პირებმა, რომლების პიროვნება სათანადოთ არ იყო შესწავლილი ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ და მიუხედავად ამისა სარგებლობდნენ მათი, თითქმის განუსაზღვრელი, ნდობით. მხოლოდ ამ უკანასკნელ გარემოებით აიხსნება ხელმძღვანელ მუშაკების მხრით სიფრთხილის გამოუჩენლობა, რამაც შესაძლებელი გახადა მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოებში ორი-სამი წლის განმავლობაში სისტემატიურად დანაშაულის ჩადენა. გამფლანგველები ბაჟის გადახდევინებას აწარმოებდნენ უსისტემოთ, ასე ვთქვათ შინაურულად და ყოველგვარ კონტროლს გარეშე და ასეთ პირობებში დაუბრკოლებლივ აკეთებდნენ თავიანთ ბოროტ საქმეს.

(გაგრძელება იქნება)

თ. შავიშვილი.

დადგენაში, საკასაციო წესით ამ გადაწყვეტილების გაუქმების გამო საქმის მეორეჯერ განხილვისას, რომელიმე მხარის დამცველად გამოსვლა სასამართლოში უნდა მიჩნეულ იქნეს უმართებულო საქციელად.

კერძოთ პრეზიდიუმი სთხოვს რ. კალანდაძეს აცნობოს პრეზიდიუმს რა კონკრეტი შემთხვევა აქვს მას მხედველობაში, რათა პრეზიდიუმს შესაძლებლობა მიეცეს საქმე გამოიძიოს და თავისი მსჯავრი გამოსთქვას დამცველთა კოლეგიის წევრის მოქმედების შესახებ.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა განიხილა რა საკითხი დამცველთა კოლეგიის იმ წევრთა შესახებ, რომელნიც მიღებულნი არიან კოლეგიაში იმ პირობით, რომ იმუშავონ მხოლოდ მაზრებში და ნამდვილად კი მუშაობენ ტფილისში, დაადგინა: წინადადება მიეცესთ დამცველთა კოლეგიის იმ წევრთ, რომელნიც დანიშნული არიან მაზრებში, მაგრამ განაგრძობენ ტფილისში მუშაობას, დაუყოვნებლივ გაემგზავრონ სამუშაოდ დანიშნულების ადგილს—მაზრებში და გაფრთხილებულ იქნენ, რომ ამ დადგენილების შეუსრულებლობისათვის, აღიძრება საკითხი მათი გამორიცხვის შესახებ კოლეგიიდან.

მილიციის ცხოვრებიდან

მიღების პირობები რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის ორ წლიან სკოლაში 1928/29 წლისათვის

როგორც გაზეთებშია გამოქვეყნებული ა/წ. 10-VII ხსენებული სკოლა დაამთავრა 34 მსმენელმა, რომელთა უმეტესი ნაწილი დაგზავნილ იქმნენ მაზრებში სამუშაოთ. მომავალ სასწავლო წლიდან სკოლა განაახლებს მუშაობას, რომელშიაც მიღების პირობები შემდეგი იქნება:

რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის სკოლა ამზადებს მილიციის მუშაკებს (რაიუფროსებს და მათ თანაშემწეებს, მაზრის უფროსებს და მათ თანაშემწეებს და სისხლის სამართლის სამძ. მილიციის მუშაკებს).

სკოლაში მიიღებიან საქართველოს ყველა მაზრებიდან, აფხაზეთიდან, აჭარისტანიდან და სამხრეთ ოსეთიდან მოვლენილი კანდიდატები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ პირობებს:

ა) მილიციის რიგებში სამსახურის სტაჟი არა ნაკლებ 1 წლისა.

ბ) კარგი სამსახურებრივი ატესტაცია.

3) სამხედრო ბეგარა მოხდილი ან მისგან განთავისუფლებული.

გ) უნდა სარგებლობდეს საარჩევნო უფლებებით.

დ) არ უნდა იყვეს სასამართლოს გამოძიების ქვეშ.

ე) ჯანმრთელობის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს მ. გლ. მილიციის რიგებში სამსახურის პირობას.

ნ) უნდა იყვეს არა ნაკლები 23 წლისა და არა უმეტეს 30 წლისა.

ადგილებიდან სკოლაში გადმოგზავნის წესი.

ა) სკოლაში გასაშვები პირის განცხადებას,—რასაც უნდა დაერთოს ბიოგრაფია, ცნობა განათლების შესახებ, ცნობა ჯამრთელობის შესახებ, წლოვანების და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ—იხილავს ადგ. განყოფილებასთან მოწყობილი კომისია, რომელშიც შედის პარტ. და პროფ. ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ) დამტკიცებული კანდიდატი კმაყოფილდება: 1) ტანთსაცმლით (არსებული წესის მიხედვით) 2) საგზაო კმაყოფით (მივლინება-დაბრუნების ხარჯების გათვალისწინებით) 3) მომავალისთვის პირველ როცხვამდე კუთვნილი ჯამაგირით. 4) სასწავლო წლის გამმავლობაში ენახება უფროს მილიციელის ხელფასი.

სკოლაში მიღების წესი

ა) სკოლაში მივლინებულს თან უნდა ჰქონდეს: 1) მივლინების მოწმობა. 2) ფულით კმაყოფის ატესტატი. 3) საარმატურო სია 2 ცალათ და სხვა ზემოაღნიშნული საბუთები, რაც უნდა წარედგინოს სკოლის უფროსს.

ბ) მისაღები კანდიდატები გატარდებიან სკოლის საექიმო და სამანდატო კომისიაში, რის შემდეგ დაიშვებიან საგამოცდო კომისიაში.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

1) პოლიტ-ცოდნა—პირველი საფეხურის პოლიტ სკოლის პროგრამის მოცულობის მიხედვით.

2) ქართული ენა—თავისუფლათ კითხვა და წერა. წაკითხულის შინაარსის გადმოცემა.

3) რუსული ენა—წერა, კითხვა და წაკითხულის შინაარსის გადმოცემა.

4) ანგარიში—ნუმერაცია. 4—მოქმედება მთელ რიცხვებზე.

წაკითხვა და ჩაწერა უბრალო და ათწილად ნაწევარისა.

5) სამილიციო საქმე—ზოგადი წარმოდგენა მილიციის ორგანიზაციაზე. სადისციპლინო წესდება.

საქართველოს შორეულ კუთხეებიდან მოვლინებულ კანდიდატებს სხვებთან შედარებით ექნებათ შეღავათი. რესპუბლიკის მილიციის უფროსთა შემადგენლობის ორ წლიან სკოლაში თვითეული მაზრა, აფხაზეთი, აჭარისტანი და სამხრეთ-ოსეთი გზავნიან თითო კანდიდატს.

გარდა ამისა აღნიშნულ სკოლაში არსებული 8 თვიან გადასამზადებელ კურსებზე, რის შევსების შესახებ შ. ს. ს. კომისარიატმა უკვე დაუგზავნა მაზრალმასკომებს სათანადო ცნობა, საქართველოს თვითეული მაზრა, აფხაზეთი, და სამხრ. ოსეთი გზავნის თითო კანდიდატს.

იმ შემთხვევაში თუ კანდიდატმა ვერ ჩააბარა გამოცდები, გაიგზავნება უკან, რომლის სამაგიეროთ გამოიგზავნება მეორე კანდიდატი, რაც წინასწარ ეყოლება მხედველობაში ადგილობრივ კომისიებს.

ორწლიან სკოლაში გავლილი იქნება შემდეგი საგნები:

1 კურსი.

1. ბუნების მეტყველება—ანატომია, სანიტ-ცოდნა, ფიზიკა და ქიმია.

2. ქართული ენა.

3. რუსული ენა, 4. ანგარიში, 5. გეოგრაფია, (სამხედრო—ფიზიკური და ეკონომიური). 6. კონსტიტუცია, 7. მილიციის ორგანიზაცია, 8. სამხედრო ქიმია, 9. კრიმინალისტიკა (სის. სამ. კოდექსი და პროცესი, ტექნიკა, ტაქტიკა და მეთოდოლოგია) 10. საზოგადოებათ მეცნიერება. 11. რევ-მოძრაობის ისტორია: ს. კ. ბ. ისტორია

12. წესდებები (შინა სამსახურის, სადისციპლინო და საბადრაგო სამსახური), 13. სამხედრო საქმე.

II **კურსი.**

1. ქართული ენა, 2. რუსული ენა, 3. ანგარიშ-წარმოება, 4. კრიმინალისტიკა, 5. ადმინისტრატიული სამართალი (მილიციის სამსახურით), 6. საბჭოთა სამართალი შრომის, მიწის, ტყის, სამოქალაქო სამართლის კოდექსი პროცესი და საბეითლო წესდება, 7. სამოსამართლო მედიცინა, 8. საქმის წარმოება, 9. საზოგადოებათ მეცნიერება, 10. პოლიტ-ეკონომია, ლენინიზმი, 11. ტოპოგრაფია, 12. ფოტოგრაფია, 13. ჰიპოლოგია, 14. სამხედრო საქმე.

ერთ წლიან გადასამზადებელ კურსზე.

1. კონსტიტუცია, 2. მილიციის ორგანიზაცია, 3. კრიმინალისტიკა (ს. ს. ს. კოდექსი და პროცესი, ტეხნიკა, ტაქტიკა და მეთოდოლოგია) 4. სამოსამართლო მედიცინა, 5. საქმის წარმოება, 6. სამხედრო, ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფია, 7. ტოპოგრაფია, 8. საზოგადოებათ მეცნიერება, 9. რევ-მოძრაობის ისტორია, პარტ ისტორია და ლენინიზმი, 10. ადმინ. სამართალი, 11. საბჭოთა სამართალი, 12. სამხედრო საქმე.

ორ წლიან სკოლაში მიღება დაიწყება 1928 წლ. 15 სექტემბერს; რვა თვიან გადასამზადებელ კურსებზე 1928 წლ. 25 სექტემბერს მეცადინეობა ორივეში დაიწყება პირველ ოქტომბერს. რის შემდეგ არავითარი განცხადება მიღების შესახებ არ განიხილება.

რესპ. მილიციის უფროსთა შემადგ.
სკოლის უფროსი **კ. ბახტაძე.**

ქრონიკა

ახალი დანიშვნები და სამსახურიდან განთავისუფლება.

✦ გაუქმებული იქნა ა. წ. 15 ივლისიდან მანგლისის საგამომძიებლო უბანი. ტფილისის მაზრის საგამომძიებლო უბანი გაიყო ორ უბნად 15 ივლისიდან და ამავე რიცხვიდან დაარსდა მესამე საგამომძიებლო უბანი ტფილისის მაზრისა. ახლად დაარსებულ მესამე უბნის გამომძიებლად დაინიშნა **იასონ ვლადიმირის-ძე აბაშიძე.**

✦ ქ. ტფილისის შრომის სასამართლოს დროებით დაემატა მესამე სესია საქმეების გასატვირთავად ა. წ. 12 ივლისიდან 12 აგვისტომდე. თავმჯდომარედ დროებით დაინიშნა **გიორგი ჩაჩანიძე.** წევრებად: **მ. მაჩაიძე** და **ლ. ქურდოვანიძე.**

✦ ა. წ. 29 მაისიდან დაინიშნა უზ. სასამართლოს წევრად **მაკარ თედორეს-ძე ბედია.**

✦ ამბროლაურის უბნის სახ. მოსამართლედ დამტკიცდა **ვასილ ლუკასძე კობერიძე.**

✦ ა. წ. 17 ივლისიდან განთავისუფლებულია წინანდლის უბნის სახ. მოსამართლე **ალექსანდრე როსტომაშვილი** და იმავე რიცხვიდან მის ადგილზე დაინიშნა **გიორგი დიმიტრისძე ორჯონიკიძე.**

შეცდომის გასწორება

ჩვენი ჟურნალის მეთოთხმეტე ნომერში ამხ. **ს. ჯაფარიძის** წერილში „საკასაციო ინსტანცია და მისი დანიშნულება“ (გვ. 337, სტრიქონი 23-ზევიდან ქვევით) გაპარულია შემდეგი კორექტურული შეცდომა. **სწერია:** „რატომ არის „სრულად მიუღებელი?“ იმიტომ, რომ მომქმედი კანონია უვარგისი“ და სხვ... **უნდა იყოს:** „რატომ არის „სრულიად მიუღებელი:“ იმიტომ, რომ მომქმედ კანონს ეწინააღმდეგება, თუ თვით მომქმედი კანონია უვარგისი,-ამის შესახებ ბ. ფურცხვანიძის მსჯელობას ეტყობა აშკარა წინააღმდეგობა. წერილის მთელი შინაარსით იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სის. სამ. საპროც. კოდ. 411 და სამოქ. საპრ. კოდ. 245 მუხლების მიხედვით“ და სხვ.

რედაქციისაგან.

1. რედაქცია სთხოვს ავტორებს გვიგზავნონ ხელთნაწერები ან მანქანაზე გადაბეჭდილი, ან დაწერილი სუფთა ხელით ფურცლის ერთ გვერდზე.
2. რედაქცია იტოვებს რედაქციული შესწორებების და შემოკლების უფლებას, თუ არ არის ავტორის პირდაპირი წინააღმდეგობა.
3. დაწუნებულ მასალას რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობის მიმოხილვა

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

1928 წ. ივლისის 1-დან ივლისის 15-მდე.

ადგილობრივი ფინანსები

О изменении пункта „в“ ст 30 Положения о местных финансов в ЗСФСР, (ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივლისის 4 დადგ. 5 „ზარ. ვოსტ“. № 158 ივლისის 10).

ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 მუხ. „ბ“ პუნქტი შევსებულია იმით, რომ ახალი რედაქციით გადასახადისაგან შენობებზე განთავისუფლებულია გზათა სახ. კომისარიატის ორგანოს კუთვნილი ისეთი შენობაც, რომელსაც აღნიშნული ორგანო იყენებს ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ სახლად.

შრომა

Об ответственности должностных лиц за материальный ущерб, причиненной неправильными действиями по найму, уволненных рабочих и служащих и оплате труда их (ს. კ. ს. დადგ. № 54, 1928 წ. ივნისის 14—„ზარ. ვოსტ.“ № 163, ივლისის 4.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყებამ აღმასკომმა და კოოპერატიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციამ უნდა მიიღონ სასტიკი ღონისძიებანი იმისათვის, რომ მისი ქვემდებარე დაწესებულებანი და საწარმოები არ არღვევდნენ მუშა-მოსამსახურის დაქირავებისა და დათხოვნის და მისი ხელფასის შესახებ მომქმედ კანონმდებლობას და სისხლის სამართლის, სადისციპლინო და საშოქ. სამ. წესით პასუხის გებაში იქნეს მიცემული ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კომ. ა.-კ. მუშგლეხინსა და ა.-კ. ფინსახკომთან ერთად და სათანადო რესპუბლიკის იუსტსახკომთა შეთანხმებით უნდა საამისოდ შეიმუშაოს ინსტრუქცია.

ვაჭრობა

О правилах по регистрации предприятий по скупке товаров в сельских местностях (ს. კ. ს-ოს დადგ. № 55, 1928 წ. ივნისის 23—„ზარ. ვოსტ.“ № 156, ივლისის 5).

ყველა საწარმო და ცალკე პირი, რომელიც საქონელს ყიდულობს სხვაზე გასაყიდად, უნდა რეგისტრაციაში გატარდეს სათანადო თემის. დაირას ან უბნის აღმასკომში; ამ რეგისტრაციისათვის წარიდგინება პატენტი, ხოლო თუ ასეთი არ მოიპოება, შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელიც გადაეგზავნება საგადასახადო ინსპექტორს, შესყიდულ საქონელს კი ყადაღა დაედება. აღმასკომი აწარმოებს დაწესებული ფორმით სარეგისტრაციო სიას. რეგისტრაცია აღინიშნება ვიზით თვით პატენტზე“

აღმასკომი ან საბჭო თვალყურს ადევნებს საქონლის სყიდვას, ხოლო სოფ. საბჭო აცნობებს აღმასკომს და შინა-ვაჭრობის კომისიას მის რაიონში შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაოდენობას და ღირებულებას. პერიოდულად, სამ თვეში ერთხელ მაინც აღმასკომი მიაწოდებს საგადასახადო ინსპექციის დაწვრილებითი ცნობებს შესყიდვის შესახებ.

საგად. ინსპექტორს შეუძლიან, აღმასკომის თანხმობით, გადაათვალიეროს სარეგისტრაციო სია და, უკეთუ აღმოაჩენს რაიმე ნაკლს აცნობოს ეს გარემოება აღმასკომს, ხოლო ასეთი ცნობის ასლი გადაუგზავნოს საგადასახადო სამმართველოს.

О материальной ответственности торговых служащих государственных и кооперативных предприятий, учреждений и складов, под ответственность которых веряются имущественныя ценности (ც. ა. კ-ის 1928 წ. ივლისის 14 დადგ. № 53—„ზარ. ვოსტ“ № 158, ივლისის 10).

ზარალი, რომელსაც სახელმწიფო და კოოპერატიულ ქონებას მიაყენებს სახ. და კოოპ. საწარმოს, დაწესებულების და საწყობის საავჭრო მოსამსახურე, ანაზღაურებულ უნდა იქნეს მთლად, სამოქალაქო სარჩელის წესისამებრ, შემდეგ შემთხვევაში:

დამქირავებლის ზარალი გამოიხატება იმაში, რომ დააკლდა სავაჭრო ღირებულება, რაც დაქირავებულს, მის პასუხისმგებლობით ჩაბარებული ჰქონდა შესანახად ან სხვა მიზნით, უკეთუ ზარალი აღემატება დაწესებულ ნორმას და დამტკიცდა მოსამსახურის დაუდევრობა;

უკეთუ სავაჭრო მოსამსახურემ სწორად არ დახარჯა მისთვის სამეურნეო საჭიროებისათვის ჩაბარებული ფული ან არ დააბრუნა დაუხარჯავი ნაწილი ამ ფულისა;

როდესაც დამქირავებლის ზარალი გამოწვეულ იქნება სავაჭრო მოსამსახურის ისეთი მოქმედებით, რომელმაც გამოიწვია ზედმეტად ფულის გადახდა (ჯარიმა, საურავი) ან ფულადი დოკუმენტების ღირებულების მთლად ან ნაწილობრივად დაკარგვა;

როდესაც დამქირავებელს ზარალი მოუვიდა ისეთი მოქმედებათ, რომლისათვისაც მოსამსახურე პასუხისგებაში უნდა მიიცეს სისხლ. სამ. წესით.

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ზარალი, არამედ ყველა კონკრეტიული პირობა და მოსამსახურის მატერიალური მდგომარეობა. დაქირავებული არ აგებს პასუხს ისეთ მოქმედებისათვის, რომელსაც ნორმალური საწარმოებლო-სამეურნეო რისკის ხასიათი აქვს, მას ვერ გადახდება აგრეთვე ხელიდან გაშვებული გადარჩენა.

შრომითი ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნეს შეთანხმება ამა დადგენილების წესით ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ა.-კ. შრომის სახ. კომ. უნდა შეიმუშაოს ამა დადგ. მიხედვით წესები.

საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

1928 წ. ივლისის 1-დან ივლისის 15-მდე

სახელმწიფო წყობილება

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების—საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალო კომისარიატად გადაკეთების შესახებ (საბჭ. მე-IV მოწ. ც. ა. კ-ის მე-4 სესიის დად. № 43, 1928 წ. ივლისის 4—„კომუნისტი“, № 154, ივლისის 5).

ც. ა. კ-ის აღნიშნული განყოფილება გადაკეთებულია სახალხო კომისარიატად, რომლის დებულების გამოცემა და სამოქმედოთ შემოღება დავალებული აქვს ც. ა. კ-ის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ (საბჭ მე-IV მოწვ. ც. ა. კ-ის მე-4 სესიის დადგ. № 11, 1928 წ. ივლისის 4—„კომუნისტი“, № 154, ივლისის 5).

ც. ა. კ-ის პრეზიდიუმი გადიდებულია 24 კაცამდე და ამავე დადგენილებით ამორჩეულია ახალი წევრები.

ფინანსები

ქალაქებში შენობების ხელახალი შეფასების შესახებ. (ს. კ. ს. 1928 წ. ივნისის 26 დადგ. „კომუნისტი“ № 156, ივლისის 8).

მაზრის აღმასკომმა და ქალაქის საბჭოებმა 1928 წ. ოქტომბრის 1-მდე უნდა მოახდინონ ყველა ქალაქში შენობების ხელ-ახალი შეფასება.

ფინსახკომმა უნდა შეიმუშაოს და წარუდგინოს ს. კ. ს-ოს დასამტკიცებლად შენობების კუბატურის ღირებულების საშუალო ნორმები, საშენი მასალისა და მუშა-ძალის რეალური ფასის მიხედვით.

შეფასებით გამოწვეული ხარჯები დაიფარება 1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტით.

ფინსახკომმა უნდა გამოსცეს ამა დადგ. განსავითარებლად საათანადო ინსტრუქცია, ხოლო აფხაზეთის და აჭარის სახკომსაბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ც. ა. კ-მა დადგენილების ანალოგიური დადგენილებანი.

სახელმწიფო მმართველობა

მუშათა და გლეხთა მილიციის მომუშავეთა ყოფა ცხოვრებისა და სამსახურის გამაუმჯობესებელ საჭირო ღონისძიებათა შესახებ (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 30 დადგ. № 46—„კომუნისტი“ № 160, ივლისის 12).

სახელმწიფო მმართველობა.

მუშათა და გლეხთა მომუშავეთა ყოფაცხოვრებისა და სამსახურის გამაუმჯობესებელი საჭირო ღონისძიებათა შესახებ. (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 30 დადგ. ა. წ. № 46—„კომუნისტი“ № 150, ივლისის 12).

ადგილობრივ აღმასკომებმა 1928—29 საბიუჯეტო წლიდან უნდა გაადიდონ სამწყობრო შედგენილობის და სისხლ. სამ. მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სამუშაო ხელფასი იმდენად, რომ ტფილისსა, სოხუმსა, ბათომსა და ცხინვალში იგი 40 მან. ნაკლები არ იყოს, სამაზრო ქალაქებში—37 მ. 50 კ. და სხვა ადგილას—34 მან. თანაბრად გადიდებულ იქნეს უფროსი მილიციონერის, უფროსი აგენტის სამუშაო ხელფასი. მილიციის უფროსს უნდა დაენიშნოს არა ნაკლებ 125 მან., თანაშემწეს 90 მანეთისა, ხოლო სარაიონო მილიციის უფროსს და სარეზერვო მილიციისას—არა ნაკლებ 50 მან. თვეში. ზედმეტი მუშაობა შეიძლება ოპერატიული დავალებისა და სამსახურობრივი სინჯვის დროს, დასვენების და უქმე დღეს მუშაობისათვის სასყიდელი მიიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება მისთვის სხვა დასვენების დღეების მიცემა. გაუმჯობესებულ უნდა იქნეს აგრეთვე მილიციის მუშაკთა საბინაო პირობები და მიღებულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი მათი ბინების უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნულ მოუშავეებზე და მათი ოჯახის წევრებზე საბინაო შეღავათებისა და უპირატესობის სფეროში გავრცელება „ს. ს. რ კავშ. მუშათა და გლეხთა წითელ არმიისა და მ. და გ. წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების კანონთა კოდექსის“ (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1924, № 21, მუხ. 198) მე-II კარის მე-4 თავში და მე-III კარის მე-4 თავში გათვალისწინებული შეღავათები.

სამაზრო აღმასკომებმა უახლოესი წლის განმავლობაში უნდა განახორციელონ მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და სისხლ. სამ. მილიციის აქტიური შედგენილობის მომუშავეთა სახელმწიფო დაზღვევა სიკვდილისა და ინვალიდობის შემთხვევისათვის სამს. მოვალეობის შესრულების დროს ან ამ მოვალეობის შესრულების გამო

შინაგ. საქმ. სახ. კომ. უნდა შეიმუშაოს შეღავათების პროექტი, ხოლო მოკავშირე და ავტონომიურ ერთეულებმა—გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით

კრედიტი და ბანკები

საქართველოს ყოფ. საადგილმამულო ბანკებში და ტფილისის საკრედიტო დაწესებულებაში დაგირავებული ქალაქად მდებარე სახლების ვალის გადახდევინების მოსპობის შესახებ. (ს. კ. ს-ოს დადგ. „კომუნისტი“, № 55, ივლისის 6).

ს. კ. ს-ოს 1922 წ. დეკემბრის 28 დადგენილება № 16 ქალაქად მდებარე სახლების შესახებ, ყველა შემდგომი ცვლილებით და დამატებით ძალა დაკარგულად გამოცხადდა 1928 წ. ივნისის 1-დან და ამ დღიდან შესწყდა იმ ვალის გადახდევინება, რაც აქ სახლებზე ირიცხებოდა.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდა კომუნალურ ბანკთან არსებული საიპოტეკო განყოფილება.

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ თავიანთი ბიუჯეტიდან სახსარის გამოყოფის შესახებ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა ძირითადი და სპეციალური თანხების გაძლიერებისათვის სესხის მისაცემად (ს. კ. ს-ოს 1928 წ. ივნისის 26 დადგ., „კომუნისტი“, № 157, ივლისის 8).

სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებმა ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა გაითვალისწინონ სახსარი ზემოაღნიშნულ საჭიროებისათვის; თვით თანხის რაოდენობას, ეკონომიურობის მდგომარეობისა და ბიუჯეტის ძალოვნების მიხედვით, განსაზღვრავს სამაზრო აღმასკომის პლენუმი.

მშენებლობა

საქართველოს სახ. კომ. საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე 1925 წ. თებერვლის 9 თარიღით გამოცემული დადგენილებისა და იმავე რიცხვს დამტკიცებული“ საბინაო კოოპერატიული მშენებლობის დამხმარე კომიტეტის დებულების გაუქმების შესახებ (ს. კ. ს-ოს დადგ.—„კომუნისტი“, № 153, ივლისის 4 კან. და განკ. კრ. № 8, მუხ. 64).

გაუქმებულია ზემოაღნიშნული დადგენილება თანდართული დებულებით თანახმად ამ.-კავკ. ს. კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 7 დადგენილებისა—„მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ“: შრომის სახ. კომ-მა უნდა მოახდინოს როგორც მასთან არსებული აღნიშნულ კომიტეტისა, ისე ადგილობრივი დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაცია და მოაწყოს შრომის კომისარიატის კოლეგიასთან მუშათა მშენებლობის სექცია და გამოსცეს ამ სექციისათვის ინსტრუქცია ს. ს. რ. კ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს—„საბინაო პოლიტიკის შესახებ“ 1928 წ. იანვრის 4 დადგენილების (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 49) 20 და 21 მუხ. საფუძველზე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არსებულ სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. (ს. კ. ს. 1928 წ. ივნისის 15 დადგ.—„კომუნისტი“ № 162, ივლისის 14).

დამტკიცებულია დებულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საბჭო ეწყობა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სამრეწველო მშენებლობისათვის ხელის შესაწყობად. იგი განიხილავს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში შემოსულ ახალი სამრეწველო მშენებლობის ყველა პროექტის ტეხნოლოგიურ, ენერგეტიულ და ეკონომიურ ნაწილს და იძლევა დასკვნას ამ პროექტის გამო იმ მხრივ, თუ რამდენად შეესაბამება იგი ტეხნიკისა და ეკონომიკის საამდროვო მიღწევათ და რამდენად შეეფარდება იგი ადგილობრივ პირობებს ნედლეულობისა, მუშა-ხელისა და ენერგეტიკის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ამ საბჭოს მუდმივი წევრები არიან: საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და 10 წევრი. თავმჯდომარე და მდივანი მიიღებენ განსაკუთრებულ გასამრჯელოს თვიურად, ხოლო წევრნი—საყეტონო გასამრჯელოს არა უმეტეს 8 მან. თვითეულ სხდომაში მონაწილეობისათვის.

სხდომებს დანიშნავს თავმჯდომარე, იგივე დაამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს, რასაც შეადგენს მდივანი. საკითხს მოახსენებს ან მდივანი, ან რომელიმე წევრი, ხოლო დასკვნას იძლევა საბჭო ექსპერტიზის წესით. სპეციალურად შესასწავლ საკითხის შემუშავება მიენდობა საბჭოს რომელიმე წევრს თავმჯდომარის არჩევით. ოქმს შეადგენს მდივანი, იგივე აგროვებს ყველა საჭირო მასალას და განაგებს ბიბლიოთეკას, ცალკე საკითხის დასამუშავებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე სპეციალისტი არა წევრთაგანაც:

საბჭოს დასკვნა გადაეცემა სახ. მეურ. უმ. საბჭოს საწარმოო საგეგმო განყოფილებას.

დაწესებულება და საწარმო, რომელიც სამეც.-სატეხნიკო საბჭოში წარადგენს პროექტს დასკვნისათვის, გადაიხდის განსაკუთრებულს სასყიდელს 0,5 პროც. რაოდენობით, როდესაც ღირებულება 500,000 მანეთამდეა, და 0,25 პროც.—როდესაც იგი 500,000 მან. აღემატება.

სახალხო განათლება

სახელმწიფოს მიერ სტუდენტ-სტიპენდიანტების შესანახად გაწეული ხარჯის ანაზღაურების თაობაზე 1927 წლის თებერვლის 28-ის თარიღით გამოცემულ დადგენილების მე-7 მუხლის შენიშვნის რედაქციის

შეცვლის შესახებ (ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 18 დადგ. „კომუნისტი“ № 158, ივლისის 10).

ყოფილ სტიპენდიატს, რომელიც უარს იტყვის სავალდებულო სამსახურის აღსრულებაზე ან თავს აარიდებს მას, გადახდება ყველა ის ხარჯი, რაც სახელმწიფომ გასწია მისი შენახვისა და სწავლებისათვის სასწავლებელში. გადახდევინებული თანხა შედის სასტიპენდიო ფონდში.

გათვალისწინებულია აგრეთვე ასეთი ყოფილი სტიპენდიანტის პასუხისმგებლობა სისხლ. სამ. კოდ. 61 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით.

უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის და სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო დარგში მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 17 № 33 დადგ. „კომუნისტი“ № 154, ივლისის 11).

ზემოაღნიშნულ პირთა, უკეთუ მათ უმსახურნიათ არა ნაკლებ 25 წლისა ან 60 წლ. ასაკისათვის მიუღწევიათ და უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში უმუშავნიათ არა ნაკლებ 10 წლისა უფლება აქვთ მიიღონ პენსია სიკვდილამდე იმ წლიური საშუალო საშოვრის სამი მეოთხედი რაოდენობით, რასაც ისინი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იღებდნენ, ხოლო არა უმეტეს აკადემიური ჯამაგირის 2 განაკვეთისა, ნორმალური აკად. ჯამაგირის განაკვეთის გადიდებასთან ერთად გადიდდება თვით პენსიაც. ვისაც შრომის უნარი დაუკარგავს 60 წლამდე, ხოლო ზემოაღნ. დაწესებულებაში უმსახურნია არა ნაკლებ 15 წლისა მიეცემა ნახევარი პენსია, ხოლო ვინც შრომის უნარს დაჰკარგავს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ან აღსრულებასთან დაკავშირებით, მიიღებს პენსიას უკანასკნელი თანამდებობის სრული ჯამაგირის რაოდენობით.

ასეთი პენსიონერის გარდაცვალების შემდეგ მის რჩენაზე მყოფი შრომის უნარმოკლებული მეუღლე მიიღებს მისი პენსიის ნახევარს, ხოლო სხვა უნარმოკლებული პირი—პენსიის ერთ მეოთხედს, ერთად კი არა უმეტეს პენსიის სრული რაოდენობისა არა სრულწლოვანს პენსია ეძლევა სრულწლოვანებამდე, დანარჩენთ—სიკვდილამდე ან შრომის უნარის აღდგენამდე.

იმას, ვინც პენსია დაიმსახურა და სამსახურში იქნა დატოვებული, შეუძლიან მიიღოს პენსიის ნახევარი. იმას ვისი პენსიაც სოც დაზღვევის კანონით გათვალისწინებულ პენსიაზე ნაკლები ერგება პენსია უნდა მიეცეს საერთო კანონმდებლობასთან შ ფარდებით უკეთუ ამა თუ იმ პირს რამდენიმე თანამდებობა ეჭირა, პენსია გამოიანგარიშება უმაღლეს ჯამაგირის მიხედვით.

დადგენილება სამოქმედოთ შემოიღება 1928 წ. სექტემბრის 1-დან.

სისხლის სამართალი

საქართველოს ს. ს. რ. 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოთ შემოღების შესახებ (ც. ა. კ-ის დადგ. № 18, „კომუნისტი“ № 152, ივნისის 5).

კოდექსი ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღებულია 1928 წ. მაისის 1-დან მთლად საქართველოს ტერიტორიაზე ყველა შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიებითურთ.

ახალი რედაქციის კოდექსის შემოღებამდე აღძრულ საქმეებს ეს კოდექსი შეეფარდება შემდეგი წესით:

ისეთი ქმედობის საქმეს, რაც ახალი კოდექსით დანაშაულად არ ჩაითვლება, უკეთუ ასეთი საქმე წინასწარ გამოძიების ან მოკვლევის სტადიაშია, მოსპობს პროკურატურა სისხლ. სამ. კოდ. 222 მუხ. წესისამებრ; უკეთუ იგი სასამართლოშია შესული მოსპობს სასამართლო გამწესრიგებელ სხდომაზე; უკეთუ იგი განხილულია პირველ ინსტანციაში—საკასაციო ინსტანცია გამწესრიგებელ სხდომაზე.

ამგვარივე საქმე უკეთუ ამ საქმეზე განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული, სასამართლო გადასინჯავს გამწესრიგებელ სხდომაზე სისხლ. სამ. საპრ. კოდ. 457 მუხ. მიხედვით და დაადგენს მსჯავრდადებულის განთავისუფლებას სოც. დაცვ. ღონისძიების მოხდისაგან.

ისეთი ქმედობის საქმეზე, რაც თუმცა დანაშაულად ჩაითვლება ახალი რედ. კოდექსითაც ხოლო მსჯავრდადებულისათვის ძველი კოდექსით შეფარდებული ღონისძიება აღემატება ამ დანაშაულისათვის ახალ კოდექსში გათვალისწინებულ უმაღეს საზღვარს ან ძველი კოდექსის ღონისძიება უფრო მძიმეა, ვიდრე ახალი რედ. კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიება. განაჩენით გადაწყვეტილი ღონისძიების ახალ უმაღლეს საზღვრამდე დაწევა ან ამ ღონისძიების შეცვლა ნაკლებად მძიმე ღონისძიებით მოხდება: უკეთუ განაჩენი კანონიერ ძალაში არ არის შესული—საკასაციო ინსტანციის დადგენილებით, სხვა შემთხვევაში –სასამართლოს მომწესრიგებელ სხდომისა, სისხლ. სამ. საპრ, კოდ. 457 მუხლისამებრ.

ისეთ საქმეებს, რომელთა გამო მსჯავრდადებული ან ბრალდებული დაპატიმრებულია, ახალი კოდექსი, ზემოაღნიშნულ წესით. უნდა შეეფარდოს ორი კვირის განმავლობაში დღიდან ადგილზე ოფიციალური ტექსტის მიღებისა.

ძველი, ც. ა- კ-ის 1922 წ. ნოემბრის 9 დადგენილებით დამტკიცებული კოდექსი, გაუქმდა დასაწყისში აღნიშნულ დღიდან

აფხაზეთის და აჭარისტ. ცაკ. კ-მა ამავე ვადისათვის უნდა გამოაქვეყნონ იმ საკანონმდებლო აქტების სია, რომელთაც ძალა ეკარგებათ ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო.

სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71 მუხ. მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ“ (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს დადგ.—„კომუნისტის“ № 155, ივლისის 6).

ამ შენიშვნის მიხედვით, უკეთუ მიწის ნაკვეთი საღნაგოდ გაიცემა მუშათა ბინების ასაშენებლად, აღნაგობის უფლების ხელშეკრულება დაიდება 71 მუხლ. აღნიშნული უკიდურესი ვადით. ხოლო უკეთუ უკვე არსებული შენობა აღნაგობის უფლების ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა აღსადგენად, დასამთავრებლად, დასაშენებლად და მისაშენებლად (მუხ. 84) მუშათა ბინებისათვის, ხელშეკრულება დაიდება ისეთი ვადით, რაც უკიდურესი ვადის ორ მესამედს უდრის (43, 40 და 33 წლით).

საადგილ-მამულო სამართალი

მიწების მორწყვისა და შეგუების სფეროში, აგრეთვე წყლის სარგებლობის მოწესრიგების სფეროში საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შეთანხმების შესახებ (ს. კ. ს. დადგ.—კომუნისტი“ № 156, ივლისის 7)

მიწათ მოქმედების სახ. კომ. ყველა თავის მოსაზრებას საჭირო წყალ-სამეურნეო სამუშაოთა შესახებ, რაიონების დასახელებით და სამუშაოთა მოცულობისა და რიგის აღნიშვნით, აცნობებს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომელიც ამ ცნობებისა და აგრეთვე სხვა ცნობების მიხედვით შეიმუშავებს სამუშაოთა გეგმას და გაუგზავნის ამ გეგმას მიწათ მოქმ. სახ. კომისარიატს. ეს უკანასკნელი, ამ გეგმის მიხედვით, შეადგენს და გაუგზავნის საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოსაგვარებლად გათვალისწინებული მიწების დასახლებისა და შეგუების გეგმას.

კვლევათა ხარჯთაღრიცხვაში, კვლევისათვის საჭირო ხარჯებს გარდა, შეიტანება იმ საკითხების შესასწავლად საჭირო ხარჯებიც, რაც შეეხება მიწებზე დასახლების შესაძლებლობას და აგრეთვე დასახლებასა და შეგუებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

კვლევათ პროგრამას შეადგენს წყალთა მეურნეობის სამართველო მიწ. მოქმ. კომისარიატთან ერთად.

წყალთა მეურნ. სამ. შეადგენს წყლის სისტემების რემონტის და მოვლის გეგმას და დაამყარებს წყლის ხარჯვის წესსა და ნორმებს.

ადგილობრივი აგრონომები უნდა შევიდნენ წყალთა საბჭოებში და სამელიორაციო ამხანაგობებში.

წყალთა მეურნ. სამმართველომ უნდა შეიმუშაოს და წარადგინოს საკან. ორგანოებში პროექტი „დებულებისა წყლის სარგებლობის შესახებ“.

უნდა მოხდეს არსებული აგრონომიული პუნქტების გადანაწილება ან ახალი პუნქტების ორგანიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს სამელიორაციო რაიონებისათვის მოსამსახურეობის გაწევა.

საჭიროა სააგრონომო და საინსტრუქტორო პერსონალი გამოყენებულ იქნეს სამელიორაციო ამხანაგობებში ჩაბმისა და ამ ამხანაგობების მოქმედების განვითარებისათვის.

გ. ქ.

ოფიციალური ნაწილი

შინაარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები № 12 (სათანადო ინსტრუქციით), № 21.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარები

ცირკულარი № 12

მაზრის პროკურორებს, მაზრის მოსამართლეებს, სახალხო სასამართლოებს და სახალხო გამომძიებლებს.

ასლი: ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის იუსტსახკომებს.

ცრუ-კოოპერატივებთან, ცრუ ნადებთან და ცრუ კოლმეურნეობასთან ბრძოლის შესახებ.

საბჭოთა მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების წარმართებით ზრდის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ეძლევა დაუცხრომელ სისტემატიურ ბრძოლას ცრუ-კოოპერატივებთან, ცრუ-ნადებთან, ცრუ-კოლექტიურ მეურნეობებთან და სხვა, ამიტომ რესპუბლიკის პროკურატურა წინადადებას გაძლევთ სახელმძღვანელოდ მიიღოთ შემდეგი:

1. სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით მოახდინოთ გამოკვლევა კოოპერატიული ხასიათის ორგანიზაციის მუშაობისა ცრუ-კოოპერატივების, ნადების და სხვ ცრუ-ორგანოების გამომჟღავნების მიზნით.

2. მომავალში აღნიშნული ცრუ ორგანიზაციაბის დაარსების თავიდან ასაცდენად, მეტის დაკვირვებით და სიფხიზლით ადევნეთ თვალყური იმ ორგანოების მუშაობას, რომლებიც რეგისტრაციაში ატარებენ ახლად დაწესებულ კოოპერატივებს, ნადებს და სხვა ორგანოებს. განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციეთ ამ ორგანიზაციების დამაარსებელ პიროვნებების სოციალურ მდგომარეობას და ამ მიზნებს, რომლებსაც ისახავენ ეს ახლად დაარსებული ორგანიზაციები.

3. რომ ცრუ-კოოპერატივებთან, ნადებთან და სხვა ცრუ-ორგანოებთან ბრძოლამ მიაღწიოს სასურველ შედეგებს საჭიროა:

ა) აღნიშნულ მუშაობაში ჩაბმულ იქნეს მშრომელთა ფართო მასსა პროფკავშირები, საბჭოს წევრები, ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირელები გლეხ-ქალები, მუშგლეხკორები და სხვ.

ბ) თვით შედეგები ამ ხაზით მუშაობის უნდა იქნეს გამოაშკარავებული პრესაში, მშრომელთა ფართო მასსის კრებებზე. თათბირებზე და სხვა.

4. ბრძოლა როგორც ცრუ-ორგანიზაციების დამაარსებელ პირთა, აგრეთვე იმ კოოპერატივების, ნადების და სხვა ორგანიზაციების, რომელთა მუშაობაში ადგილი აქვს გადახრას კერძო კაპიტალისტურ ელემენტების ინტერესებისაკენ, უნდა წარმოებდეს სისტემატიურად და მათ წინააღმდეგ უნდა იქნეს აღძრული დევნა სისხ. სამ. წესით ს. ს. კოდ. შემდეგი მუხ. შენიშვნებით:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც ცრუ-კოოპერატივების, ნადების და სხვა ცრუ-ორგანოების მუშაობას შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ სამეურნეო დარგის დაწესებულების ზარალი, უნდა შეუფარდდეს ს. ს. კოდ. 183 მუხ. II ნაწ., ე. ი. თაღლითობითი მოტყუებით ისეთი შეღავათების მიღება, რომლებიც დაწესებულია კოოპერატ. ხასიათის ორგანიზაციების და ნადებისათვის. ხოლო, თუ ზემოხსენებული სახის ცრუ-ორგანიზაცია მარტოოდენ დაარსებული და რეგისტრაცია ქმნილი იქნა, მაშინ უნდა შეუფარდეს ს. ს. კოდ. 210 მუხ., როგორც წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობის შეტანა.

ბ) როდესაც გამოირკვა, რომ ნამდვილი კოოპერატიული და სხვა ასეთი ხასიათის ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ ადგილი აქვს გადახრას კერძო კაპიტალისტურ ელემენტების ინტერესებისაკენ, მათ მიმართ უნდა შეუფარდეს თანამდებობრივი დანაშაულის სათანადო მუხ. ს. ს. კოდ. (ს. ს. კოდ. 114—117 მ. მ.), ვინაიდან იმ პირს, რომელსაც მუდმივი ან დროებითი თანამდებობა უჭირავს კოოპერატიული ორგანოებში ს. ს. კოდ. 114 მუხ. შენიშვნის მიხედვით, ითვლება თანამდებობის პირად.

ამ ცირკულარს თან ერთვის სახელმძღვანელოდ სათანადო ინსტრუქცია ა. წ. 20 ივლისის.

იუსტიციის სახალხო კომისარი და
რესპუბლიკის პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**
ი. ს. კ. პროკურორი **ს. ქავთარაძე.**

1928 წ. ივლისის 20.

ინსტრუქცია

ცირკულართან № 12 „20“ ივლისის 1928 წლის.

ამა თუ იმ ორგანიზაციის გამოკვლევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს წესდების რეესტრში გატარებ-ს საკითხს, ვინაიდან კანონის მიხედვით ყველა ძირითად კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებას რეესტრში ატარებს კოოპერაციის საქმეთა საამართველო და ყველა წესდებას უნდა ჰქონდეს სათანადო ბეჭედი რეესტრის ნომრის და თარიღის აღნიშვნით. ამა თუ იმ კოოპერატიული შენარ-თის გამოკვლევის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამხ-ის წესდებას: რამდენად სრულდება წესდების მოთხოვნილებანი და რამდენად ეგუება ამხ-ბის ფაქტიური საქმიანობა წესდების განსაზღვრულ ნორმებს.

გამორკვევა უნდა შეეხოს უმთავრესად: შინამრეწველთა კოოპერატიულ ნადებს—ამხ-ბებს, მერძევეთა არტელებს, მარტივ სას.—სამ. ამხანაგობებს, კოლექტიურ მეურნეობებს, სამანქანო ამხანაგობებს და სხვ. ცრუ-კოოპერატივებს და ცრუკოლექტიურ მეურნეობას ახასიათებს:

1. კოოპერატივის (ამხანაგობის) და კოლ-მეურნეობის შემადგენლობაში არიან ახლო ნათესავები და არა-მშრომელი ელემენტები.

2. მოგების განაწილებას არა აქვს კოოპერატიული ხასიათი. განუყოფელ-განსაზოგადოებულ თანხების დაგროვებას ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული.

3. მუშაობას არა აქვს საზოგადო ხასიათი.

4. საწევრო და საპაიო გადასახადი განზრახ დიდია, რომ მოუსპოს ხელმოკლე პირს კოოპერატიული და ამხანაგობაში წევრად შესვლის საშუალება.

5. გასაღება-მომარაგების ოპერაციებს აწარმოებს კავშირის გარეშე და საქმეს იჭერს კერძო ვაჭრებთან.

6. ორგანიზაცია, რომელსაც მოიხმარებენ ძირითად საწარმოო საშუალებების ფაქტიური პატრონები საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრები, ან წევრთა ჯგუფი—კოლექტივის თანაწევრების ექსპლოატაციის საშუალებად.

7. ორგანიზაცია, რომელსაც ყოფ. მემამულე ან შეძლებული გლეხი ხდის უღარიბეს გლეხების ექსპლოატაციის საშუალებად და ხშირად უღარიბესი წევრები მოჯამაგირედ არიან გადაქცეული.

8. კარჩაკეტილობა, სარგებლობენ კოლმეურნეობის ფორმით რომ ისარგებლონ უპირატესობით და შეღავათებით და არ იღებენ ახალ წევრებს.

9. ორგანიზაცია, რომელიც გადაჭარბებულად სარგებლობს დაქირავებული შრომით.

იუსტიციის სახალხო კომისარი და
რესპუბლიკის პროკურორი **შ. მათიკაშვილი.**
ი. ს. კ. პროკურორი **ს. ქავთარაძე.**

1928 წ. ივლისის 20.

ცირკულარი № 21

ყველა სამაზრო და სახალხო სასამართლოს და სასამართლო აღმასრულებელს.

ტრანსპორტზე ჩადენილი კანონის დარღვევისათვის შრომის სასამართლოს დადგენილებით გადახდევინებულ საჯარიმო თანხების ა-კ. გზათა დამზღვევ სალაროში გაერთიანებულ სატრანსპორტო დამზღვევ სალაროებისათვის გადაცემის შესახებ.

ჯერ კიდევ 1924 წ. მარტის 20-ს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გამოსცა № 22 ცირკულიარი იმის შესახებ, რომ შრომის სესიებმა და ყველა სახალხო სასამართლომ, რომელიც არჩევს შრომის კანონის დარღვევის საქმეს ტრანსპორტზე მოწყობილ ამა თუ იმ დაწესებულებისა თუ საწარმოსათვის ჯარიმ ს გადაწყვეტის დროს დაადგინონ ამ ჯარიმის გადახდევინება ა/კ. გზათა დამზღვევ სალაროში გაერთიანებულ სატრანსპორტო დამზღვევ სალაროების სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, როგორც ა/კ. ს.ფ.ს.რ-ის გზათა ინსპექციის უფროს ინსპექტორის ა/წ. ივნისის 9-ის № 1147 ცნობიდან სჩანს, ტრანსპორტზე შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი საჯარიმო თანხების დიდი ნაწილი არ შედის გზათა დაზღვევ სალაროში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თანხები შეაქვთ სოციალური დაზღვევის მთავარ სალაროში.

აღნიშნულის გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ მტკიცეთ დაიცვათ 1924 წ. მარტის 26-ის № 22 ცირკულიარში აღნიშნული წესი, რომელიც მიღებულია საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატების სახელზე დაგზავნილი ა/კ. სფსრ-ის 1924 წ. თებერვლის 16-ის № 110 ცირკულარის თანახმად.

იუსტიციის სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი.**

სასამართლო მმართველობის განყ. გამგე **ი. სიჭინავა**

1928 წ. ივლისის 12

თანახმად სრულიად საქარ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 13 მარტის № 1 ცირკულარისა, ადმინგანის მმაჩის ბიუროს აცხადებს, რომ მოქ. ანნა იოსების ასულმა არაძელოვისამ და მისმა შვილებმა სოლომონ ესტატესძე, ნინო ესტატეს ასული და მიხეილ ესტატესძე არაძელოვებმა თავისი გვარი გამოიცვალეს ახალ გვარზე არახელაშვილზე.

მმაჩის ბიუროს გამგე **პ. შარაშენიძე.**

საქმის მწარმოებელი **გ. ალხაზაშვილი.**

გამომცემელი:
საქ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: **შ. მათიკაშვილი.**
სარედაქციო კოლეგია: **ა. კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.**

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4. მთავლ. № 142. ტირაჟი 1200. შეკვ. № 1576

სახალხო სასამართლოების და სახალხო გამომძიებლების საყურადღებოდ

ექსპედიციის რეგულიარული მიზნით „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სთხოვს სახახალხო სასამართლოებს და სახ. გამოძიებლებს, რომლებმაც მიიღეს ჩვენი ჟურნალის კომპლექტები ფასდადებით და გამოიყიდეს—ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობონ რედაქციას.

მიიღება ხელისმოწერა მეორე ნახევარიწლისათვის

ჟურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ივლისიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმოწერის ფასი: 6 თვით—5 მან. 50 კ. 3 თვით—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რედაქციაში შეიძლება აგრეთვე შეძენა ა. წ. 1 იანვრიდან ყველა გამოსული ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამაზრო სასამართლოებს, რომელთაც მოეთხოვებათ **პირველი ნომერი** გაუყიდველი სასწრაფოდ გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.

ფასი 50 კაპ.

ИЗДАТЕЛЬСТВО НКЮ ССР ГРУЗИИ

ВЫШЛО ИЗ ПЕЧАТИ И ПРОДАЕТСЯ

РУКОВОДТСВО для работников Суда, Финорганов, а также для плательщиков

„ДЕЙСТВУЮЩЕЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО о порядке перехода и обложения налогом имуществ, переходящих по наследованию и дарению“

ЦЕНА 70 КОП.

составлено сотрудником НКФ ССРГ И. ПАИЧАДЗЕ.

СКЛАД ИЗДАНИЯ: Трибунальная, 32. Издательство НКЮ. В розницу продается в магазинах госиздата РСФСР и Заккниги.

საქართ. ს. ს. რ. იუსტიციის გამოცემლობა

ი ყ ი დ ე ბ ა

საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 180—205[1—8] მუხლების კომენტარი

„ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა“

—კომენტარი იუსტიციის საკანონმდებლო განყოფილების წევრ-კონსულტანტის—

ა. ალხოვისა.